პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 1918-ე წელი | № 145 (10842) | პარასკევი, 21 ივნისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ახალი ეტაპი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მიერ მიღებული კანონის შესაბამისად შექმნილი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭო უკვე შეუდგა მუშაობას.

ამ საბჭოს შექმნა, მასთან სადარგო სამმართველოებისა და ფუნქციონალური განყოფილებების ჩამოყალიბება, მრეწველობის ცალკე დარგების, საწარმოებისა და მშენებლობის ახლებურად ხელმძღვანელობის განხორციელება მოასწავებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში ახალი ეტაპის დასაწყისს.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესება, სხვადასხვა დარგის საწარმოთა შორის უწყებრივი ზღუდეების ლიკვიდაცია და დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპების შესაბამისად ხელმძღვანელობის განხორციელება ქმნის ყველა პირობას სრულად ვისარგებლოთ გეგმიანი ეკონომიკის უპირატესობებით, გამოვიყენოთ უმარავი შიდასაწარმოო რესურსები, დაჩქარეთ ძლევამოსილი წინსვლა სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი მწვერვალებისაკენ, წარმატებით გადავჭრათ პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული მთავარი ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

საქართველოს სსრ ახლად შექმნილი სახალხო მეურნეობის საბჭოს წინაშე უაღრესად პასუხსაგები დიდი ამოცანები დგას. ჩვენს რესპუბლიკას, რომელიც ერთ მთლიან ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონს წარმოადგენს, აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა მრეწველობისა და მშენებლობის შემდგომი სწრაფი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. ახლა საქმე ის არის, რომ არსებული შესაძლებლობები და რესურსები მოფიქრებულად, წინდახედულად გამოვიყენოთ, არ დავუშვათ სამინისტროებისაგან სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის საწარმოთა გადაცემის პერიოდში სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის შესუსტება, საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლის ტემპის შენელება.

მთავარია ცალკე საწარმოთა შორის სწორი საწარმოო ურთიერთობის დამყარება და განმტკიცება. ცნობილია, რომ მართვის ორგანიზაციის უწყებრივი სისტემის ვითარებაში ხშირად ურთიერთთან ახლო მდებარე საწარმოთა შორისაც კი საწარმოო ურთიერთობა მოწესრიგებული არ იყო. ეს იწვევდა შემხვედრ ტვირთზიდვას, სახელმწიფო რესურსების უმიზნო ხარჯვას, რაც მთავარია, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შეფერხებას.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ საწარმოთა შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის მისაღწევად გადადგმულმა პირველმა ნაბიჯებმა უკვე მოგვცა კარგი ნიშნები. იმას შედეგად, რომ ცალკე საწარმოებში დაგროვილი ნედლეულისა და დამზმარე მასალების რესურსები მოქცეული აღარ არის უწყებრივ ზღუდეში, მათი გადანაწილება და გამოყენება ხდება შეუფერხებლად, ივნისის პირველ ნახევარში მთელ რიგ საწარმოებსა და მშენებლობებზე ბევრად უკეთესი მაჩვენებლებია მიღწეული, ვიდრე მაისის პირველ ნახევარში გვქონდა. ივნისში უკეთესად მუშაობენ ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელი, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნები, ჭიათურის ვოროშილოვის სახელობის მაღარო, თბილისელი ბინათმშენებლები.

ჩვენს რესპუბლიკაში მწვავედ იგრძნობა საწარმოთა სპეციალიზაციისა და კოოპერირების მასშტაბის სივიწროვე. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა თითქმის იმავე პროფილით მუშაობს, როგორითაც თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. სუსტად არის განვითარებული საწარმოთა კოოპერირება. ყოველივე ეს აძნელებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მოწესრიგებას, ხელს უშლის რიტმულად მუშაობას. საჭიროა უახლოეს დროში განხორციელდეს მწარმოებელი ქარხნების მიმაგრება მომხმარებელ ქარხნებზე და ამასთან დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები რესპუბლიკაში ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზების მოსაწყობად, რათა ყოველ ცალკე შემთხვევაში შესაძლებელი იყოს საწარმოთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება ნედლეულით, დამხმარე მასალებით, კომპლექტური მოწყობილობით და ყოველივე იმით, რაც საჭიროა მრეწველობისა და მშენებლობის გამართული მუშაობისათვის.

სპეციალიზაცია წარმოების მოწყობის ყველაზე პროგრესული ფორმაა. საწარმოთა სპეციალიზაციის განხორციელება საშუალებას მოგვცემს გავაძლიეროთ ამა თუ იმ დეტალის, მოწყობილობის, ხელსაწყოს მასობრივი გამოშვება, გადავიყვანოთ საწარმოები ნაკადური მეთოდით მუშაობაზე, გავაადვილოთ ახალი ტექნიკის დანერგვა, ავტომატიზაციის განხორციელება.

დიდი მუშაობის გაწევა მოუხდება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა მუშაობის დაგეგმვის გაუმჯობესებისათვის. მთავარია ის, რომ წარმოების სამუშაო გეგმა შეფარდებული იყოს იმავე საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და პროდუქციის გასაღების გეგმასთან.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს წინაშე მრავალი სხვა აქტუალური ამოცანაც დგას: წვრილი საწარმოების გამსხვილება, მმართველობის აპარატის გამარტივება, წარმოების დუბლირების ლიკვიდაცია, ადგილებთან ცოცხალი კავშირის განმტკიცება და ა. შ.

აქაც ისევე, როგორც ყველა დიდი სახალხო საკითხის გადაჭრაში, გადამწყვეტი როლი პარტიულ ორგანიზაციებს ეკუთვნის. საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ვალია სამეურნეო ხელმძღვანელობისათვის დახმარების გაწევა მორიგი სამეურნეო საკითხების გადაჭრაში, ადგილობრივი პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის წარმართვა საწარმოს წინაშე დასახული ახალი ამოცანების შესასრულებლად, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა, მასების დარაზმვა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის სრულყოფაში დიდი ამოცანები ეკისრებათ პროფკავშირულ ორგანიზაციებს. ბრძოლა რიტმულობისათვის, საწარმოო-საფინანსო გეგმების მაღალხარისხოვნად შედგენისათვის, სოციალისტური შეჯიბრების მასობრივობისა და მაღალი შედეგიანობისათვის — პროფორგანიზაციების სისხლხორცეული საქმეა.

ამოცანები დიდი და რთულია, მაგრამ შესაძლებლობებიც ამ ამოცანათა გადაჭრისათვის ბევრია. მთავარი კი არის მშრომელთა ფართო მასების მხარდაჭერა და დახმარება, ასეულ ათასობით მუშის, ინჟინერ-ტექნიკოსის, წარმოების ნოვატორის მზადყოფნა გააკეთოს ყოველივე, რაც მასზეა დამოკიდებული, სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში

რესპუბლიკის სატყეო მრეწველობის ყოფილი სამინისტროს საწარმოთა ბაზაზე საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოსთან შეიქმნა სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო. გარდა არსებული სატყეო-სამრეწველო მეურნეობებისა და ფაბრიკა-ქარხნებისა, მის გამგებლობაში გადავიდა საკავშირო დაქვემდებარების ზოგიერთი საწარმო, ენგურის ქაღალდის და ცელულოზის კომბინატი, სატყეო მრეწველობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თბილისის ფილიალი, ჭუთაისის სატყეო ტექნიკუმი. ახლო ხანში სამმართველოს გადაეცემა აგრეთვე სხვა სამრეწველო ობიექტები, კერძოდ, თბილისის ქაღალდის ფაბრიკა.

ამ დღეებში სახალხო მეურნეობის საბჭოში გაიმართა სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა დირექტორებისა და მთავარი ინჟინრების თათბირი. იგი მიეძღვნა გასულ და მიმდინარე წლის განვლილი პერიოდის მუშაობის შედეგებს და წლის მეორე ნახევრის ამოცანებს, ახლებურად მუშაობის პირველი დღეების შედეგების ანალიზს.

თათბირზე აღინიშნა, რომ შარშან და წელს სატყეო მრეწველობის მეურნეობაში დაინერგა ახალი, პროგრესული ტექნიკა, მოხდა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, გაუმჯობესდა ტყის ექსპლოატაცია. საქართველოს ტყის მჭრელების და გამომზიდველების განკარგულებაშია ძლავრი ტექნიკა — ტრაქტორები, ბულდოზერები, ავტომაწეები, ბენზინმოტორიანი და ელექტროხერხები, ავტომობილები, ჯალამბრები და საბაგირო გზები. ხორციელდება ღონისძიებები, იმისათვის, რომ მთლიანად აღმოიფხვრას ცულით ხის მოჭრა. ახალი მოწყობილობა დაიდგა ავეჯის საწარმოებში. ყოველივე ამან დიდად შეუწყო ხელი გასული და მიმდინარე წლის გეგმების წარმატებით შესრულებას, საწარმოთა რიტმულ მუშაობას. სამმართველოს საწარმოებმა ხუთ თვესა და 15 დღეში გაანაღდეს ექვსი თვის დავალება. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 38,1 პროცენტით გაიზარდა. ექვსი თვის გეგმის გადამეტებით დამზადებული და გამოზიდული იქნება 25 ათასამდე კუბმეტრი ხე-ტყე.

კარგი მუშაობის მაგალითებს იძლევიან რესპუბლიკის ისეთი დიდი სატყეო-სამრეწველო მეურნეობები, როგორიც არიან ახმეტის, ენგურისა და გინძე-ეწერისა. საწარმოებიდან წარმატებით ანაღდებს დავალებებს თბილისის ავეჯის კომბინატის კოლექტივი, რომელიც სატყეო მრეწველობის სისტემის საწარმოთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორია.

მაგრამ არიან ისეთი სატყეო-სამრეწველო მეურნეობები, რომლებიც ჩამორჩებიან დავალებათა შესრულებაში, მაგალითად, ადიგენის, სადმელისა და ხეთის მეურნეობები და სტალინირის ხე-ტყის კომბინატი.

თათბირზე გამოვლინებული იქნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან შემდგომ სიერთო აღმავლობას. ჯერ კიდევ არ სრულდება კომპლექსური გამომუშავების ნორმები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, მაქსიმალურად არ იყენებენ ტექნიკას და ხე-ტყის მოზიდვის ყველა ეფექტიან საშუალებას, ზოგან დაბალია შრომისა და საწარმოო დისციპლინა, სათანადო ზომებს არ იღებენ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

თათბირის მონაწილეებმა განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება ტყის ექსპლოატაციისა და ქარხნებში საწარმოო კულტურის შემდგომ ამაღლებაზე, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების აუცილებლობაზე, შრომის მოწინავე მეთოდების ფართოდ გავრცელებაზე.

მრეწველობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისა და აპარატის გამარტივებისათვის, თათბირის მონაწილეებმა ბევრი მეტად საყურადღებო და საქმური საკითხი დააყენეს. ყველა ორატორი მოითხოვდა მოისპოს პარალელიზმი ხე-ტყის დამზადებაში. ახლა სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა გვერდით ხე-ტყეს ამზადებს მრავალი წვრილი ორგანიზაცია, ირღვევა ტყის ექსპლოატაციის წესები, ხდება მუშების გადაბირება, რაც იწვევს კადრების დენადობას. საჭიროა, რომ ხე-ტყის დამზადების სამუშაოები მთლიანად მიენდოს სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს მეურნეობებს.

საწარმოთა დირექტორები მოითხოვდნენ, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში შემავალმა ქარხნებმა კოოპერირების წესით მათთვის დაამზადონ დაზგები, მანქანები, მოწყობილობა, სათადარიგო ნაწილები, ფურნიტურა, რომელიც აქამდე სხვა რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ. ჩვენს მანქანათმშენებელ ქარხნებს თავისუფლად შეუძლიათ ამ დაკვეთების შესრულება.

მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესება უნდა განხორციელდეს თანმიმდევრულად, ქვედა რგოლებშიც. საჭიროა წვრილ ორგანიზაციათა გაერთიანება, გამსხვილება. ზუდიდში ამჟამად არსებობს სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს სამი გარაჟი, რომლებიც ერთ დიდ კეთილმოწყობილ გარაჟად უნდა გაერთიანდეს. ეს არა მარტო ეპარატს გაამარტივებს, არამედ ტრანსპორტის მუშაობასაც გაუმჯობესებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთვის აღსანიშნავად თათბირის მონაწილეებმა სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს სისტემის საწარმოთა კოლექტივების სახელით იკისრეს ახალი ვალდებულებანი და შეჯიბრებაში გამოიწვიეს საწენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა კოლექტივები.

უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ!

გოლნისის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა ვალდებულებანი

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეები, მტს-ების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ყველა მშრომელნი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ლენინგრადში რსფსრ ჩრდილო-დასავლეთის რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაში დასახულ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ.

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობები იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მათ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად, მხარს უჭერენ წითელწყაროს რაიონის სოფლის მშრომელთა ძვირფას ინიციატივას და, გამოიანგარიშეს რა თავიანთი შესაძლებლობანი და რეზერვები, გადაწყვიტეს მკვეთრად გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, ვადამდე, დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის შეასრულონ ხორცისა და რძის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა.

ჩვენ გვესმოდა სოციალისტურ ვალდებულებას 1957 წელს 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ვაწარმოოთ 34,2 ცენტნერი ხორცი, მათ შორის 16,2 ცენტნერი ღორის ხორცი 100 ჰექტარ სახნავზე.

წელს გავასუქებთ 2.000 სულ ღორს, რომელთაგან თვითეულის საშუალო ცოცხალი წონა 80-100 კილოგრამი იქნება, და 4-ჯერ გავადიდებთ ღორის ხორცის წარმოებას შარშანდელთან შედარებით.

პარიზის კომუნის სახელობის მოწინავე კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა გასუქოს 400 სული ღორი, თვითეული 100 კილოგრამამდე, და 100 ჰექტარ სახნავზე აწარმოოს 58,6 ცენტნერი ღორის ხორცი.

წელს რაიონის კოლმეურნეობები პირველად გასუქებენ სამი თვის ასაკამდე 50.000 ფრთა წიწილას, თვითეულს წონით ერთ კილოგრამამდე.

მეტ ყურადღებას მივაქცევთ მეცხვარეობას, რათა მოკლე ვადაში გავადიდოთ ცხვრის სულადობა, განსაკუთრებით ნაზმატყლიანი ქართული ჯიშისა. ეს შესაძლებლობას მოგვცემს შემდეგში გავადიდოთ ხორცისა და მატყლის წარმოება. წელს მატყლის წარმოებას 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე ავიყვანთ 216 კილოგრამამდე.

კოლმეურნეობები წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღებენ 70,5 ცენტნერ რძეს.

ცალკეულმა კოლმეურნეობებმა იკისრეს უფრო მაღალი ვალდებულებანი წელს 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების დარგში: სოფელ ქოშაქილისის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა მიიღებს 48 ცენტნერ ხორცს, 111 ცენტნერ რძეს და 310 კილოგრამ მატყლს, სოფელ მუსოფრიანის კოლმეურნეობა „კომკავშირი“ — 50,8 ცენტნერ ხორცს, 100 ცენტნერ რძეს და 570 კილოგრამ მატყლს, სოფელ ზემო გულავერის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა — 45,5 ცენტნერ ხორცს, 92 ცენტნერ რძეს, 400 კილოგრამ მატყლს.

წარსული წლებისაგან განსხვავებით, წელს ნავარაუდევია უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ სიმინდის მოსავალი, მნიშვნელოვნად უფრო მეტი ავიღოთ იგი რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში და ცალცალკე დავასილოსოთ ტაროები, აგრეთვე ტაროიანი ღეროები. წელს თითო ძროხაზე ჩავდებთ 11 ტონა და თითო დედაღორზე 3 ტონა მაღალხარისხოვან სილოსს.

იმ მიზნით, რომ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში პირუტყვი მწვანე საკვებით უზრუნველვყოთ, საშემოდგომო თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების შემდეგ 1.500 ჰექტარ ნაწვერალზე დავთესავთ სიმინდსა და ქერს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ნაკისრ ვალდებულებათა უკეთ შესრულების მიზნით ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება დადეს სომხეთის სსრ კოტაიკის რაიონის კოლმეურნეებთან.

ბოლნისის რაიონის მშრომელები პირობას აძლევენ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ უფრო მეტი ენერგიითა და თავდადებით იბრძოლებენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის, წარმატებით შეასრულებენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცების საქმეში.

შ. ქუტაძე — საქართველოს კპ ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი, **ა. მამედოვი** — ბოლნისის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **გ. ჰაჯიევი** — საქართველოს კპ ბოლნისის რაიკომის მეორე მდივანი, **ე. მირაქოვი** — რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში, **ა. ფარაჯევი** — რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში, **ნ. მეფარიშვილი** — საქალაქო ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი, **ა. ხებნიაშვილი**—რაიონული გაზეთის „წითელი დროშის“ რედაქტორი, **ა. შირაჩიანი** — დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ა. მამედოვი** — პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ა. ომანოვი** — კოლმეურნეობა „კომკავშირის“ თავმჯდომარე, **ნ. შახბაზოვი** — ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ბ. მაჰმუდოვი** — კოლმეურნეობა „გამარჯვების“ თავმჯდომარე, **გ. ბუსეინოვი** — ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ა. ურუშაძე** — თამარისის მტს-ის დირექტორი, **ა. გრიგოლია** — ბოლნისის მტს-ის დირექტორი, **ვ. ყორყოლიანი** — ბოლნისის მტს-ის ზოოტექნიკოსი, **მ. კაციტაძე** — თამარისის მტს-ის ზოოტექნიკოსი, **თ. ბეზნოსიუკი** — დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი, **ა. მინასიანი** — პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის სასაქონლო ფერმის გამგე, **ბ. ბერძენაძე** — სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმის გამგე, **ა. ხალილოვი** — კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მეცხვარეობის სასაქონლო ფერმის გამგე, **ტ. აბუთაძე** — რაიონის მთავარი ვეტექიმი, **გ. ყურბანოვი** — თამარისის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, **რ. კასუმოვი** — კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მეფრინველეობის ფერმის გამგე, **შ. კუჭავა** — ბოლნისის მტს-ის მთავარი აგრონომი, **შ. ასათიანი** — დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმის გამგე.

ჩოხატაურის რაიონმა შეასრულა მეცხოველეობის პროდუქციის დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა

ჩოხატაურის რაიონმა შეასრულა მეცხოველეობის პროდუქციის დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა.

ხორცის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შესრულებულია 122 პროცენტით, რძისა — 104,4 პროცენტით, კვერცხისა — 112,5 პროცენტით.

რეპორტაჟი — **მეგობრები**

კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს

შარშანდელი სეზონის შემდეგ კომბაინერები ვ. ალექსიშვილი, ა. მუსაევი და ი. სიზენკო გარდაბნის რაიონის ლენინის სახელობის და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობების ხორბლის ვრცელ მინდვრებზე წელს კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ქართველმა, რუსმა და აზერბაიჯანელმა მეგობრებმა ორი დღეა გააჩაღეს აქ შეჯიბრება 10-12 დღეში მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

კომბაინერი ვ. ალექსიშვილი, მეშტურვალე გ. კოტაშვილი და ტრაქტორისტი შ. კოტაშვილი ივრის მტს-იდან მოვიდნენ. გასულ წელს ეს აგრეგატი მუშაობდა კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში და 220 ჰექტარზე მეტი მომკა, ხოლო საგარეჯოს რაიონში დაბრუნების შემდეგ — კიდევ 300 ჰექტარზე მეტი. ახლა აგრეგატის წევრები იმისათვის იბრძვიან, რომ გარდაბანელ მასპინძლებს მოსავალი აუღონ 250 ჰექტარზე, ხოლო საგარეჯოელებს — 400 ჰექტარზე.

წარჩინებულმა კომბაინერმა ვ. ალექსიშვილმა მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში გუშინწინ გაჭრა პირველი ჰექტარები. ერთ დღეს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 20 ჰექტარი მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 21 ცენტნერი მარცვალი გალეწა. ამ მექანიზატორის ძმა თენგიზი თვითმავალი კომბაინის საჭეს მიუჯდა. ჯერ ძმას დაეხმარა — საკომბაინედ ირგვლივ შემოჭრა ხორბლის ნაკვეთები, შემდეგ კი სხვა ფართობზე გადავიდა.

სოფელ ნაზარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობას ასაღები აქვს სულ 701 ჰექტარი. მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლაში ჩაება „სტალინეც-6“ მარკის 8 და ერთი თვითმავალი კომბაინი. დღენახევარში უკვე მომკეს 80 ჰექტარამდე და საშუალოდ მოსავლიანობამ ჰექტარზე 20 ცენტნერს გადაამეტა.

— პურის აღება ჩვენს რაიონში, — ამბობს გარდაბნის მტს-ის მთავარი აგრონომი ლ. მიმინოშვილი, — მასობრივად ჩაღდება. წელს ასაღებია სულ 6.100 ჰექტარი. მომკილია პირველი რამდენიმე ასეული ჰექტარი. ქერის ნათესი ცოტა გვქონდა. სულ 380 ჰექტარი. აქედანაც კარგი მოსავალი მივიღეთ, საშუალოდ ჰექტარზე 18 ცენტნერი. გარდაბნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში 60 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 20 ცენტნერი ქერის მარცვალი. აქ მაღალნაყოფიერად იმუშავეს კომბაინერებმა ა. ნახიბოვმა, ქ. ქერიმოვმა, ხოლო ახალი ულიანოვკის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში ი. ისმაილოვმა და ხ. ისმაილოვმა.

ქების ღირსია ნაზარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მომუშავე კომბაინერი ა. მუსაევი, რომელიც „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით დღეში 19-20 ჰექტარს იღებს და საშუალოდ ჰექტარზე ლეწავს 21 ცენტნერ ხორბალს. უკვე მომკილი 90 ჰექტარიდან გალეწა 180 ტონა მარცვალი. დიდ წარმატებებს აღწევენ ქესალოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ასაღები აქვთ 580 ჰექტარი. საშუალოდ ჰექტარზე 18-20 ცენტნერ ხორბალს მოელიან.

გარდაბნელ მექანიზატორებს, კოლმეურნეებს მოსავლის აღების დაძაბული დღეები დაუდგათ. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა ხორბლის მოსავალი მთლიანად უდანაკარგოდ აიღონ თორმეტ სამუშაო დღეში და საუკეთესო ხარისხის პური ვადამდე ჩაბარონ სახელმწიფოს. კომბაინერები თავდადებით შრომობენ, რათა საქართველოს კომბაინთა აგრეგატების კოლექტივებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვონ.

ამ შეჯიბრების ავანგარდში არიან ქართველი, რუსი და აზერბაიჯანელი მეგობრები — კომბაინერები ვ. ალექსიშვილი, ი. სიზენკო და ა. მუსაევი.

ნ. ჯანჯღავა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

გარდაბნის რაიონის სოფელ ნაზარლოს ლენინის სახელობის და სოფელ ქესალოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში გაჩაღდა ხორბლის მოსავლის აღება. **სურათზე:** ა. მუსაევის (მარცხნიდან), ვ. ალექსიშვილის და ი. სიზენკოს კომბაინთა აგრეგატები იღებენ ხორბლის მოსავალს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ

ავამოქმედოთ მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გაღიდების ყველა რეზერვი

18 ივნისს დილიდანვე გამოცოცხლება დაეტყო ქ. გორის სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს. საზაფხულო თეატრის დარბაზში თავი მოიყარეს გორის, კასპის, ქარელის, მცხეთის, ხაშურის, ბორჯომის რაიონების, აგრეთვე დუშეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა, რაიონული პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელმა მუშაკებმა. მათ მონაწილეობა მიიღეს ქართლის რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზონალურ თათბირში, რომელიც მოწვეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ.

თათბირი, რომელსაც 700-მდე კაცი ესწრებოდა, შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **გ. დ. ჯავახიშვილმა.**

თათბირმა მოისმინა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. **გ. ალავიძის** საინფორმაციო მოხსენება „სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მომდინარეობის, მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ამოცანების შესახებ“.

— დღევანდელი თათბირი, — განაცხადა ამხ. გ. ალავიძემ, — ეწყობა იმ პერიოდში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი თავგამოდებით ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის, ახალი შრომითი წარმატებების მოსაპოვებლად პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელების გზაზე.

თათბირზე აღინიშნა, რომ ხეხილის ბაღები ზოგან ცუდად მოვლილი და დაკნინებულია. ზოგ კოლმეურნეობაში ხილის მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 3-10 ცენტნერს არ აღემატება. გასულ წელს გორის რაიონის სოფელ ბერბუკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 3,7 ცენტნერი ხილი. ხილის ასევე დაბალი მოსავალი მიიღეს ქარელის რაიონის სოფლების ბრეთის, რუისის, კასპის რაიონის სოფელ დოესის, მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის და სხვა კოლმეურნეობებმა. მოწინავე კოლმეურნეობები კი ხილის მაღალ მოსავალს იღებენ. გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვება“ 142 ჰექტარი თესლოვანი ხილის ბაღში ყოველწლიურად ჰექტარზე 47-68 ცენტნერ ხილს კრეფს. შარშან სოფელ ქვეშის კოლმეურნეობა „წითელ ქართლში“ საშუალოდ ჰექტარზე 75 ცენტნერი ხილი მოკრიფეს.

სიტყვას ამბობს პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ზ. თავზარაშვილი.** იგი ლაპარაკობს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხორციელდება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გასაადიდებლად, ამასთან ყურადღებას ამახვილებს ნაკლოვანებებზე.

— მეხილეობას, — თქვა მან, — რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს. კოლმეურნეობები ყოველწლიურად გადამეტებით ასრულებენ ახალი ბაღებისა და ვენახების გაშენების გეგმებს. ამასთან წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბაღები და ვენახები აგროტექნიკურ ვადებში, უკეთ დამუშავდა. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

ამხ. თავზარაშვილი აყენებს საკითხს, რომ გაუმჯობესდეს რაიონის კოლმეურნეობების მომარაგება მინერალური სასუქებითა და შხამ-მასალებით.

თათბირზე აღინიშნა, რომ მევენახეობა კოლმეურნეობებისათვის შემოსავლის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი წყაროა. ქართლის რაიონები იძლევიან საუკეთესო მასალას საბჭოთა შამპანურისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ საჭირო ყურადღება არ ექცევა ვენახების მოვლას.

თათბირის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს მარცვლეულის, განსაკუთრებით სიმინდის წარმოების გადიდების საკითხებზე. მარცვლეულის წარმოებაზეა დაძაბულებული მეცხოველეობის კონცენტრირებული, წვნიანი საკვებით უზრუნველყოფა და მისი პროდუქტიულობის ამაღლება. შარშან მცხეთის, გორისა და კასპის რაიონების ცალკეულმა კოლმეურნეობებმა სიმინდის მაღალი მოსავალი მოიყვანეს. მაგრამ სიმინდისა და ხორბლის მოსავლიანობა საერთოდ დაბალია. დაბალი მოსავლიანობა იმის შედეგიც არის, რომ მტს-ის ბევრი ხელმძღვანელი და სპეციალისტი ძველებურად ქმაყოფილდება ხვნა-თესვისა და სხვა სამუშაოთა მხოლოდ ჰექტარობით შესრულებით და არ იღებს გადამჭრელ ზომებს სამუშაოთა მაღალხარისხოვნად და აგროტექნიკურ ვადებში შესრულებისათვის.

დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **ფ. ლალიაშვილმა** აღნიშნა, რომ კოლმეურნეობას მემინდვრეობა მთელი შემოსავლის 80 პროცენტს აძლევს. შარშან 1954 წელთან შედარებით საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა ორჯერ მეტი სიმინდი და პური, ხოლო თვითეულ საფურაჟე ძროხაზე — სამჯერ მეტი რძე. ყოველწლიურად ვზრდით სიმინდის ფართობს. თუ 1953 წელს 180 ჰექტარი სიმინდი გვეთესა, წელს 400 ჰექტარი დავთესეთ და კარგადაც ვუვლით.

— კარალეთელი კოლმეურნეები, — თქვა გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ თავმჯდომარემ ამხ. **მ. ჯაშაშვილმა,** — სახელწიფოს ჩააბარებენ 1.500 ტონა ხილს და 350 ტონა ყურძენს. გასულ წელს დამამზადებელმა ორგანოებმა ხილისა და ყურძნის ორგანიზებულად მიღება ვერ მოაწყეს. შარშანდელი ნაკლოვანებანი წელს არ უნდა გამეორდეს. ჩვენი კოლმეურნეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კოლმეურნეობა წელს ასრულებს მებაღეობა-მევენახეობის განვითარების 1960 წლისათვის გათვალისწინებულ პერსპექტიულ გეგმას.

პარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **დ. ქვლივიძე** შეჩერდა რაიონში სათოხნი კულტურების დამუშავების მიმდინარეობაზე. მან განაცხადა, ჩვენს არაერთგზის მოხსენებითს ბარათებს რაიონის მტს-ებისათვის საპლანტაჟე სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მძლავრი ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების გამოყოფის შესახებ შედეგი არ მოჰყოლიაო.

ამხ. ქვლივიძემ გააკრიტიკა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობის გაჭიანურებისათვის და აღნიშნა, რომ მუშაობს ამ სისტემის პირველი რიგი, მაგრამ მასაც სრულად ვერ იყენებენ, რადგან ფართობები მოუსწორებელია. მტს-ებს კი ამ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ტექნიკა არა აქვთ.

თათბირზე გამოსული ამხანაგების სიტყვებში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი იმ ისტორიული ამოცანის გადაჭრის საკითხს, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ დაუსახა საბჭოთა ხალხს — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ.

— ჩვენი რაიონის კოლმეურნეებმა, — განაცხადა პარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. ბურდულმა,** — გულდასმით განიხილეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წერილი მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისა და მატყლის წარმოების გადიდების შესახებ და იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი. ჩვენმა მეცხვარეებმა ხელოვნური ნერბვის გზით მიიღეს ცხვრის გაუმჯობესებული ჯიში, რომელიც გაცილებით მეტ მატყლს იძლევა, ვიდრე თუშური ცხვარი. თუ წინათ რაიონში თვითეულ ცხვარზე 2 კილოგრამი მატყლის მიღება კარგ მჩვეიბლად ითვლებოდა, ახლა ბევრი კოლმეურნეობა ამას მარტო გაზაფხულზე პარსვით აღწევს.

თათბირის მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნის ამხ. **მ. გაბინაშვილის** სიტყვა.

— ხორცისა და რძის წარმოების მკვეთრად გადიდების შესახებ, — თქვა მან, — ძსჯელობა ჰქონდათ კოლმეურნეობის გაგგეობას, პარტბიუროს. ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და ვალდებულება ავიღეთ 1960 წლისათვის ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მივიღოთ 71 ცენტნერი ხორცი, აქედან 40 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე, 435 ცენტნერი რძე და ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე — 57 ათასი ცალი კვერცხი.

ქარელის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ი. ნოზაძემ** სთხოვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს — გამოუყოს რაიონს 12 ახალი საბურავი თვითმავალი კომბაინებისათვის.

პარტიის კასპის რაიკომის მდივანმა სამთავისის მტს-ის ზონაში ამხ. **დ. მაღალაშვილმა** აღნიშნა, რომ რაიონში მოსავალი გაყოფით (ორ ფაზად) აღებულ უნდა იქნას 200 ჰექტარზე, მაგრამ სამთავისისა და კასპის მტს-ებს მოწყობილობა სრულად არა აქვთ მიღებული.

პარტიის ბორჯომის რაიკომის მდივანმა მტს-ის ზონაში ამხ. **ი. ტალახაძემ** თქვა, რომ რაიონში თავთავიანი კულტურების მოსავლის და თივის თავის დროზე აღებისათვის დამატებით საჭიროა 5 სალეწი მანქანა, აგრეთვე თივის სათიბი მანქანები და ცხენის ფოცხები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ხაშურის რაიონის სოფელ ვაყის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **ნ. გოგალაძემ,** მცხეთის მტს-ის დირექტორმა ამხ. **ა. კაჭარავამ,** საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. **გ. ქობულიამ,** ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. **დ. ქინქლაძემ,** საქართველოს კონსერვტრესტის მმართველმა ამხ. **პ. საყვარელიძემ** და სხვებმა, სულ 18 კაცმა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **გ. დ. ჯავახიშვილმა.**

— თათბირზე გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან ჩანს, — თქვა მან, — რომ წელს შარშანდელთან შედარებით კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები უკეთ მიმდინარეობს. მთელ რიგ კოლმეურნეობებს სერიოზული წარმატებები აქვთ მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში. მაგრამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვია. საჭიროა მოვახდინოთ მთელი ჩვენი ძალების მობილიზაცია, ავამოქმედოთ მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების ყველა შესაძლებლობა.

კომუნისტურმა პარტიამ, — განაგრძობს ამხ. ჯავახიშვილი, — დაგვისახა საბრძოლო ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ. თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში თავისი სერიოზული წვლილი უნდა შეიტანოს.

ამხ. ჯავახიშვილი თათბირის მონაწილეთა ყურადღებას ამახვილებს მოსავლის მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აღების, პურის დამზადების გეგმის შესრულების და კოლმეურნეობათა ეკონომიკის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

ერთი ოჯახის მეჩაიეობა

ლუბა ცეცხლაძე (მარცხნიდან) და მისი შვილები ჩაის პლანტაციაში.

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ მაკვანეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის უხვი მოსავლის მოყვანით სახელი გაითქვა კოლმეურნე ლუბა ცეცხლაძის ოჯახმა. ლუბამ ჩაის კრეფის აგროწესები შეასწავლა თავის გოგონებს — ეთერს, ფაციას, მარგალიტას. უმცროსი გოგონა მე-7 კლასის მოსწავლეა, ეთერი ჩაის მწონავად მუშაობს ბრიგადაში.

ლუბას ოჯახს მოსავლელად მიჩენილი აქვს ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაცია, რომელიც სანიმუშოდ არის მოვლილი. დღემდე მოკრეფილი აქვს 2.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ ოჯახის ვალდებულებაა წელს მოკრიფოს 5.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ლენინის ქალაქში

ლენინგრადის ქალაქ წარსულგვალვის ბიბლიოთეკა





ლენინგრადი ფართოდ არის ცნობილი როგორც სახელოვანი, კულტურული და ისტორიული ტრადიციის ქალაქი. აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი რუსი პოეტი ა. ს. პუშკინი, აქ დაწერა თავისი წიგნი ა. ნ. რადიშჩევმა, რომელშიც უსმობლად ამხილა ბატონყმობის ხაშინელებანი, თვითმპყრობელობა.

საბჭოთა ადამიანებისათვის განსაკუთრებით ძვირფასია ქალაქის რევოლუციური ისტორია, მისი შესანიშნავი რევოლუციური ტრადიციები.

1825 წელს სასახლის მოედანზე აჯანყების დროშა აღმართეს პირველმა რუსმა მემარჯვენე-დემოკრატებმა — დეკაბრისტებმა. აქ ცხოვრობდნენ დიდი რუსი დემოკრატი რევოლუციონერები ბ. ბელინსკი, ნ. ჩერნიშევსკი.

1905 წლის იანვრის ამბები პეტერბურგში მოასწავებდა რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დაწყებას.

ამ ქალაქში მოხდა თებერვლის რევოლუცია, რომელმაც ბოლო მოუღო თვითმპყრობელობას. აქ აფრიალდა პირველად დროშა დიდი ოქტომბრის რევოლუციისა, რომლითაც დაიწყო კაცობრიობის ისტორიის ახალი ერა.

ლენინგრადი ლენინის ქალაქია. ვ. ი. ლენინმა აქ ჩაუყარა საფუძველი კომუნისტურ პარტიას, უშუალოდ ხელმძღვანელობდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. სწორედ ამიტომ სსრ კავშირის საბჭოების მეორე ყრილობის დადგენილებით **1924** წელს პეტროგრადს დაერქვა ვ. ი. ლენინის სახელი. ამ დადგენილებაში ნათქვამია: „დიე ამიერიდან პროლეტარული რევოლუციის ეს უმსხვილესი ცენტრი სამუდამოდ დაუკავშირდეს პროლეტარიატის ბელადის შორის უდიდესი ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვ-ლენინის სახელს“.

ლენინგრადის ისტორიაში სახელოვანი ფურცელი ჩაიწერა დიდი სამამულო ომის წლებში. უმძიმესი ალყის **900** დღეს გაუძლეს გმირი ქალაქის მშრომელებმა და გვიჩვენეს ჰიტლერელ დამპყრობლებთან ბრძოლაში თავდადებულობის, ვაჟკაცობის, გმირობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის ნიმუშები. შრომაში და ბრძოლაში მამაცობისათვის ლენინგრადი დაჯილდოებულია ლენინისა და წითელი დროშის ორდენებით.

ლენინგრადი მოსკოვის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მეორე სამრეწველო და კულტურული ცენტრია. აქ განვითარებულია ზუსტი და რთული მანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა და მრეწველობის სხვა დარგები. ლენინგრადში გაკეთდა პირველი საბჭოთა ტრაქტორი, პირველი ბლუმინგი, პირველი ტურბინი. ლენინგრადის საწარმოების მუშებს, ინჟინრებს, კონსტრუქტორებს თავიანთი დიდი წვლილი შეაქვთ სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებაში, აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებებს ტექნიკური პროგრესის საქმეში. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მათ შექმნეს და მასობრივ წარმოებაში ათვისეს **200**-ზე მეტი ახალი ტიპის ჩარხები, ხელსაწყოები, მანქანები.

1725 წელს პეტერბურგში დაარსდა მეცნიერებათა აკადემია, რომელიც რუსეთში მეცნიერული აზროვნების ცენტრი იყო. აქ მოღვაწეობდნენ მსოფლიო მეცნიერების კორიფე მ. ვ. ლომონოსოვი, ფიზიკოსი ვ. ვ. პეტროვი, ქიმიკოსი დ. ი. მენდელეევი, მედიკოსი ნ. ი. პიროგოვი, ფიზიოლოგი ი. მ. სეჩენოვი. კიდევ უფრო აყვავდა მეცნიერება ლენინგრადში საბჭოთა ხელისუფლების წლებში. სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან ამოცანებს წყვეტს ქალაქის **200** სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. ქალაქის **44** უმაღლეს სასწავლებელში **120** ათასი სტუდენტი სწავლობს.

ჩქეფს ლენინგრადის კულტურული ცხოვრება. აქ არის **17** თეატრი, **40**-ზე მეტი კინოთეატრი, **90** კლუბი, **500** ბიბლიოთეკა. ქალაქში გამოდის **100** გაზეთი, რომელთა ერთჯერადი ტირაჟი ერთ მილიონ ეგზემპლარს აღწევს, **20** ჟურნალი; ლენინგრადის **30**-ზე მეტი გამომცემლობა ყოველწლიურად **100** მილიონ ცალ წიგნსა და ბროშურას უშვებს.

ლენინგრადი მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია, რომელიც გამორჩეულ თავისი საუცხო არქიტექტურული ანსამბლებით. შენობათა დიდებული სილამაზე შეხამებულია ვრცელი მოედნების, განიერი პროსპექტების და სწორი ქუჩების და ბაღების მწვანე ხამოსელთან, გრანიტში ჩასმული მდინარეებისა და არხების მშვენიერებასთან, რომლებზეც მხატვრულად გაფორმებული ხიდებია.

სახე იცვალეს ლენინგრადის მუშათა გარეუბნებმა. იქ აგებულია ახალი სახლები. ეს უბნები მწვანე სამოსელშია ჩაფლული. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ლენინგრადელებმა **1** მილიონ **200** ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს. ლენინგრადის სიამაყეა მეტროს პირველი რიგი.

ლენინგრადის მშრომელები ემზადებიან იმისათვის, რომ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ. ქალაქის საწარმოებში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

* * *

სურათებზე — ზემოდან: კრეისერი „ავრორა“; ვ. ი. ლენინის ძეგლი სმოლნთან; პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრე.

ტექსტი ა. ვიგნანსკისა,
ფოტო გ. ვახტანგაძისა
(საქდესის ფოტოქრონიკა).

საშუალო სკოლიდან წარმოებაში

ყოველწლიურად იზრდება იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც სიმწიფის ატესტატის მიღების შემდეგ წარმოებაში მიდიან სამუშაოდ.

წელს ქ. რუსთავის მე-10 საშუალო სკოლაში (დირექტორი შ. ბრაგვაძე) სიმწიფის ატესტატს მიიღებს 23 ახალგაზრდა. მათ შორის მრავალმა გამოთქვა სურვილი ჩაებას პრაქტიკულ შრომითს საქმიანობაში. ოთხოსანმა მოსწავლეებმა ნ. მოწონელიძემ და ს. ხაჩიაშვილმა გადაწყვიტეს წასვლა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში.

— მე მინდა შჟსოველი გავხდე, — განაცხადა ნ. მოწონელიძემ, — ჩემი სურვილია დავეუფლო საფეიქრო საქმეს, რომელიც დამეხმარება საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საფეიქრო ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე მისაღები გამოცდების ჩაბარებაში.

თხუთმეტმა მეთერთმეტეკლასელმა, მათ შორის ოთხოსნებმა ვ. ხარაიძემ და ჯ. ბაზაზაშვილმა, გადაწყვიტა ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში სამუშაოდ წასვლა. მათ სურთ დაეუფლონ ტექნიკას, იმუშაონ წარმოებაში, მიიღონ საწარმოო გამოცდილება.

ბ. მესხი.

მშვენდება დაბა წითელწყაროს

სულ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება დაბა წითელწყაროს. ქუჩების კეთილმოწყობისა და საცხოვრებელი ფართობის გადიდებისათვის, კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის დაგეგმილია დიდი სამუშაოები.

დაიწყო და მალე დამთავრდება სტალინის ქუჩის კეთილმოწყობა. აგებენ ასფალტს, აკეთებენ ტროტუარებს, ბორდიურებს.

საკოლმეურნეო ბაზრის ახლოს იდგმება წყაროს არქიტექტურულად გაფორმებული თაღი. რეკონსტრუირებული იქნება წყალსადენის ქსელი და სატუმბავი სადგური, რაზეც 300.000 მანეთი დაიხარჯება.

მალენკოვის ქუჩაზე დაიწყო და წელს დამთავრდება რვაბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მიმდინარეობს № 1 აბანოს მშის ენერგიით ამუშავებისათვის ჰელიოდანადგარის მშენებლობა.

დაბა წითელწყაროს მახლობლად მდებარე ტყეში ტყეპარკი გაშენდა. გაყვანილია წყაროები, აშენდა ბუფეტი, სკვერში დაიდგმება მაგიდები და სკამები. აქ თავისუფალ დროს დაისვენებენ მშრომელები.

ბ. ბოჭიტაშვილი.

მუშათა მოძრაობის ზრდა საქართველოში

თებერვლის რევოლუციის შემდეგ მუშათა კლასის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ფაბრიკები და ქარხნები ისევ კაპიტალისტების ხელში დარჩა, ისინი ძველებურად ეწეოდნენ მუშათა ექსპლოატაციას. დროებითი მთავრობა ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელ პოლიტიკას ატარებდა. გადაწყვეტილება, რომელიც 8 საათის სამუშაო დღის გატარებას შეეხებოდა, ქაღალდზე რჩებოდა.

საქართველოს მუშათა კლასის მდგომარეობა კიდევ უფრო ცუდი იყო, ვიდრე პეტროგრადის, მოსკოვის, ბაქოსა და სხვა ქალაქების მუშებისა.

გაზეთი „კავკასსკი რაბოჩი“ თავის მე-11 ნომერში ფაბრიკა „ობორონნას“ მუშების მდგომარეობის შესახებ წერდა:

„დაახლოებით 120 მუშა ორ ცვლად მუშაობს — თვითეული 12-12 საათს. 12 საათის განმავლობაში მუშებს არა აქვთ არც სადილობის, არც ჩაის დალევის უფლება და ამას ფარულად აკეთებენ. მუშებისათვის არ არსებობს არც დღესასწაული, არც კვირა, ისინი მანქანების მსგავსად მუშაობენ. მათ აგრეთვე არა აქვთ საავადმყოფო სალარო, რის გამო ავადმყოფობის ანდა დასახიჩრების შემთხვევაში მუშები ბედის ანაბარა არიან მიგდებული, მფლობელის მხრივ ყოველგვარი დახმარების გარეშე; მუშები თავიანთი აუტანელი მუშაობისათვის იღებენ 20-დან 60 მანეთამდე თვეში... ყველასათვის ნათელია, რომ ასეთი უმნიშვნელო ხელფასით, პროდუქტების სიძვირის ახლანდელ პირობებში, მუშებს არ შეუძლიათ იკვებონ და შეინარჩუნონ თავიანთი ძალები“.

მეწუნეველები, რომლებიც ყოველმხრივ უჭერდნენ მხარს დროებითის მთავრობას, წარმოების მფლობელთა ერთგული მოკავშირეები გახდნენ. მეწუნეველებისა და ესერების ინიციატივით შეიქმნა ე. წ. მომრიგებელი კამერები, რომელთა დანიშნულება ვითომ იმაში მდგომარეობდა, რომ მოეწესრიგებინათ საწარმოთა მეპატრონეებსა და მუშებს შორის წარმოშობილი კონფლიქტები. მაგრამ ფაქტიურად ისინი კაპიტალისტების ინტერესებს ემსახურებოდნენ. ქართველი მეწუნეველების ღონისძიებების შედეგად ასეთი კამერები შეიქმნა საქართველოშიც. 19 მაისიდან (1 ივნისიდან) თბილისში ფუნქციონირება დაიწყო ცენტრალურმა მომრიგებელმა კამერამ. თბილისის მუშათა დეპუტატების მეწუნეველურმა საბჭომ მოწოდებით მიმართა მუშებს და მრეწველებს ფართოდ ესარგებლათ მისი მომსახურებით, იმის ნაცვლად, რომ ხელში აეღოთ წარმოებაზე კონტროლი.

ბოლშევიკების ლოზუნგს კონტროლის შესახებ მხარი დაუჭირეს ბევრი საწარმოს მუშებმა. ფაბრიკებსა და ქარხნებში დაიწყო საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების შექმნა, რომლებიც წარმოადგენდნენ მუშათა თვითმოქმედებისა და კონტროლის პირველადს ორგანოებს. ისინი აერთიანებდნენ მუშათა ფართო მასებს და ბოლშევიკების დასაყრდენი იყვნენ. მუშათა კონტროლი თბილისში დაწესებულ იქნა არსენალსა და ელექტროსადგურში, ბათუმში — პოთოევის ჯუტის დამამზადებელ ქარხანაში, სადაც 500-მდე მუშა მუშაობდა.

მუშათა კლასი ფართოდ იწყებს პროფკავშირების ჩამოყალიბებას. მაისის დასაწყისში მარტო თბილისში არსებობდა 31-მდე პროფკავშირი, რომლებიც თავიანთ რიგებში 30 ათასამდე კაცს აერთიანებდნენ. მეწუნეველები ხელს უშლიდნენ პროფკავშირების ნორმალურ მუშაობას.

მუშათა კლასის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა ხელს უწყობდა რევოლუციური მოძრაობის ზრდას. აპრილის ბოლოდან საქართველოში დაიწყო მუშათა გაფიცვები. გაფიცვები მოეწყო ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში, ტაუზეს ქარხანაში. სერიოზული კონფლიქტები მოხდა მუშებსა და მეპატრონეებს შორის ადელხანოვის ფაბრიკაში.

19 მაისს (1 ივნისს) დაიწყო თბილისის სამღებრო-სამრეცხაო დაწესებულებათა მუშების გაფიცვა. მუშებმა მოითხოვეს ხელფასის 40 პროცენტით გადიდება. მუშათა პროფკავშირმა გამოუშვა მოწოდება ყველა მუშისადმი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „კავკასსკი რაბოჩის“ 54-ე ნომერში. მასში ნათქვამი იყო: „სამუშაო დღის ხანგრძლივობამ და მათხოვრულმა ხელფასმა გვაიძულეს ჩვენ გაფიცვა დაგვეწყო. მეპატრონეებთან ხანგრძლივი მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.

ამხანაგებო! ჩვენ ვშიმშილობთ. ნუ გაიძლიერებთ ჩვენს შიმშილობას ჩვენს ადგილზე მუშაობის დაწყებით“.

ბოლშევიკები მოუწოდებდნენ მუშებს მხარი დაეჭირათ გაფიცულთა სამართლიანი მოთხოვნებისათვის.

20 მაისს (2 ივნისს) სერიოზული კონფლიქტი მოხდა თბილისის ცენტრალური პურის საცხობის მუშებსა და მეპატრონეთა შორის.

პირველი მაისის დღესასწაულის წინ ჭიათურის მუშებმა მრეწველებს წარუდგინეს 22 მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნა. დიდი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ მუშებმა გამარჯვება მიიღწიეს.

გაფიცვების გახშირებასთან დაკავშირებით მეწუნეველები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მუშები, რომ ყველა საკითხი გადასაჭრელად მომრიგებელი კამერებისათვის გადაეცათ და თავი შეეკავებინათ გაფიცვებისაგან.

საგაფიცვო მოძრაობა მთელ ქვეყანაში იზრდებოდა. მან უფრო ფართო ხასიათი მიიღო საქართველოშიც.

ივნისის ბოლო რიცხვებში გაიფიცნენ თბილისის კლუბებისა და რესტორანების მუშა-მოსამსახურეები. მათ მხარი დაუჭირეს ელექტროსადგურის მუშებმა.

ივნისის ბოლო რიცხვებში და ივლისის დასაწყისში გაფიცვებში მონაწილეობდნენ გაიდამაკინის ფაბრიკის, მარტიროსოვის და ხანდონოვის საწოლების მკეთებელი სახელოსნოს მუშები. შემდგომ თვეებში საგაფიცვო მოძრაობა ძლიერდება.

პარტიული ცხოვრება

მასებში პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელოვანი ფორმა

ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი დიდი და მძლავრი საწარმოა ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა. ავტომობილმშენებლები მონდომებით შრომობენ იმისათვის, რომ პირნათლად გაანაღდონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები. მათ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმა 107,5 პროცენტით შესრულეს, ხოლო საერთო პროდუქციისა — 105,9 პროცენტით.

საწარმოში, სადაც რამდენიმე ათასი მუშა-მოსამსახურეა, ღრმად აქვთ შეგნებული, რომ მეექვსე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია თვითეული ავტომობილმშენებლის თავდადებულ შრომაზე. ამიტომ არის, რომ ქარხნის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ მასებში პოლიტიკური მუშაობის გაჩაღებას. საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის ავტომობილმშენებელთა დასაარაზმავად სხვა საშუალებებთან ერთად ფართოდ არის გამოყენებული მასებში პოლიტიკური მუშაობის ისეთი მნიშვნელოვანი ფორმა, როგორიც არის თვალსაჩინო აგიტაცია. ქარხნის შესასვლელშივე ყურადღებას იპყრობს ლამაზად გაფორმებული მოწოდებები: „ამხანაგო ავტომობილმშენებლებო! ისე მოაწყეთ სამუშაო ადგილი, რომ დავალება გადაჭარბებით შეასრულოთ!“, „მეტი გამძლე და მაღალხარისხოვანი ავტომობილი — სამშობლოს!“

ქარხნის ეზოში მოწყობილია საგაზეთო ვიტრინები, სადაც ყოველდღიურად აკრავენ ახალ გაზეთებს. საგაზეთო ვიტრინის გვერდით აღმართულია საპატიო დაფა, რომელზეც მოთავსებულია ქარხნის მოწინავე ადამიანების ფოტოსურათები. მათ შორის არიან ცნობილი ნოვატორები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხარატი ა. აგაპოვი, მხეხავი გ. ამბროლაძე, კონტროლიორი ე. მყავანაძე, მბურღავი ა. ფრუნზე, კბილანმჭრელი უ. ქარქაშაძე, ამწყობი ი. ალფეროვი, მტვიფრავი ი. ქაჯაია და სხვები. აქვე მოწყობილია ვიტრინა, სადაც სისტემატურად აქვეყნებენ ცნობებს ურალის სტალინის სახელობისა და ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე.

განსაკუთრებით შესანიშნავია დიდ ტილოზე გაკეთებული სტენდი წარწერით „ეს იქნება მეექვსე ხუთწლედში ჩვენს ქარხანაში“. აქ მოთავსებულია იმ ახალ, ავტომობილთა მოდელები, რომლებიც ქუთაისელმა ავტომობილმშენებლებმა მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში უნდა გამოუშვან.

როგორც ქარხნის შესასვლელში, ისე სამსხმელო, საიარაღო, სამჭედლო და სხვა საამქროებში გაკრულია ხუთასამდე პლაკატი და ლოზუნგი, რომლებიც ავტომობილმშენებლებს მოუწოდებენ იბრძოლონ ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის, საწარმოო გეგმების ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის უნარიანად იყენებს სატირულ კედლის გაზეთს „ნიანგს“, რომელიც რეგულარულად გამოდის და ულმობლად ამქღავნებს ზარმაცებს, უქნარებსა და ბიუროკრატიზმის სენით დაავადებულ ადამიანებს.

ყველა საამქროში სისტემატურად გამოდის ფურცლები — „ელვა“. უკანასკნელ ხანს სამსხმელო საამქროში გამოშვებულ ფურცელში გააკრიტიკეს სამსხმელო უბნის ოსტატების რ. ჯიჯინაძისა და ა. ლომთათიძის მუშაობა. „ელვა“-ფურცელში აღნიშნული იყო, რომ ჩამოსხმული ცილინდრის ბლოკების, აგრეთვე სხვა დეტალების 30-35 პროცენტი წუნიანია, რის გამო ფერხდება ძრავების საამქროს ნორმალური მუშაობა. კრიტიკამ შედეგი გამოიღო, წინანდელთან შედარებით მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ექსპერიმენტალურ საამქროში გაკრულია ორმოცდათერთმეტი სხვადასხვა პლაკატი და ლოზუნგი, რომლებიც საამქროს მუშაკებს მოუწოდებენ შექმნან ახალი, გაუმჯობესებული ტიპის ავტომანქანები. საამქროს სპპატიო დაფაზე მოთავსებულია 21 მოწინავე ადამიანის სურათი, მათ შორის ინჟინრების ს. ბატიაშვილის, გ. ფორჩხიძის, ნ. ჩიტორელიძის, ი. ქოჩიაშვილის, ვ. მესერერის სურათები.

საწარმოში ასობით აგიტატორი ყოველდღიურად აწყობს საინტერესო, ღრმაშინაარსიან საუბრებს, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ადგილობრივ ცხოვრებასთან. თავიანთ საუბრებში ისინი უნარიანად იყენებენ თვალსაჩინო აგიტაციის მრავალფეროვან საშუალებებს. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია იმისათვის ზრუნავს, რომ შემდგომ აამაღლოს საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დონე და ამით კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმოს ავტომობილმშენებლები საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, საოქტომბრო შეჯიბრებაში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის საბრძოლველად.

ნ. ვარდოსანიძე.

ლიტერატურული ალმანახი სომხურ ენაზე

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სომხურმა სექციამ ამ უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა. სექციის სხდომებზე სისტემატურად ხდება სომეხი მწერლების ახალ ნაწარმოებთა განხილვა, ეწყობა შემოქმედებითი საღამოები, მწერალთა შეხვედრები მკითხველებთან.

სექციის ნაყოფიერი მუშაობის მაჩვენებელია ლიტერატურული ალმანახი, რომელიც ამას წინათ სახელგამმა გამოსცა. ალმანახში მოთავსებული ნაწარმოებები ნათელ წარმოდგენას აძლევს მკითხველს იმ შემოქმედებითს მიღწევებზე, რომლებიც მოიპოვეს უკანასკნელ წლებში თბილისში მცხოვრებმა სომეხმა მწერლებმა.

პროზისა და პოეზიის განყოფილებაში, რომელსაც ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს ალმანახში, მოთავსებულია უფროსი და უმცროსი თაობის მწერალთა უკანასკნელ წლებში დაწერილი მხატვრული ნაწარმოებები. როგორც თემატურად, ისე ჟანრობრივად ეს ნაწილი მრავალფეროვანია. ალმანახში წამყვანი ადგილი ხალხთა მეგობრობას, აღორძინებულ სამშობლოს, დიდი ბელადის — ლენინის სახის ჩვენებას, პარტიისა და საბჭოთა პატრიოტიზმის თემას აქვს დათმობილი, რაც თავისთავად ალმანახის იდეურ ღირსებაზე მეტყველებს.

მეგობრობის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთაგან მკითხველის ყურადღებას იქცევს ვ. ატრიანის „ძმობის ხიდი“. ამ ნაწარმოებში მდიდარი მხატვრული საღებავებით აღწერილია ქართველი ჭაბუკის ხუტას და სომეხი ქალიშვილის—სედას ჯანსაღი სიყვარული, რომელიც დაბადა საქართველო-სომხეთის საზღვარზე ქართველებისა და სომხების ერთობლივი შრომის პროცესში გზატკეცილის მშენებლობაზე. ცოცხალი და დამაჯერებელი შტრიხებით არის დახატული საბჭოთა ადამიანების, მუშების პორტრეტები და, რაც მთავარია, ის იდეა, რომ ხალხთა მეგობრობა და სიყვარული სამშობლოს აღორძინების ქვაკუთხედი და ყველა დაბრკოლების გადალახვის საწინდარია.

ასეთივე ინტერესით იკითხება ნიჭიერი მწერლის ს. მანველიანის ამავე თემაზე დაწერილი მოთხრობა „ცხოვრებისაკენ“, მ. ქარამიანის ლირიკული პოემა „თინა“, კ. აზროიანის მოთხრობა „უნიღბოდ“ და სხვ.

მეტად საინტერესოა ალმანახში მოთავსებული ნოველა „მართალი ხელი“, რომლის ავტორია ხიჭიერი მწერალი, ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილი ბენიკ სეირანიანი.

შავერდიანი ერთ დროს ნიჭიერი მხატვრის რეპუტაციით სარგებლობდა, მაგრამ მეშჩანური საწყისის გაძლიერებამ მის ბუნებაში ჩაკლა ყოველივე ჯანსაღი, დაუმახინჯა სული და ახლა ცხოვრებას კუდში მისჩანჩალებს. ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა თავის დროზე მემკვიდრის ყოლასაც თავი აარიდეს „ფეხის ბორკილის“ გაჩენის შიშით. ისე განვლეს თავისი სიცოცხლის ორი მესამედი, რომ მათ ჭერქვეშ ბავშვის ტიკტიკი არ გაგონილა. მათ გულში მოულოდნელად იბადება მემკვიდრის ყოლის სურვილი. მეგობრებისა და ნათესავების რჩევით რამდენჯერმე ესტეტრებიან უპატრონო ბავშვთა სახლს, მაგრამ „მაღალი ესთეტიკური გემოვნების“ ცოლ-ქმარს გარეგნობით არც ერთი ბავშვი არ მოეწონა.

შავერდიანების უაზრო ყოფა და მეშჩანური შეხედულებანი ცხოვრებაზე მეტად აღელვებს კარის მეზობელს ნიკოლას და მის მეუღლეს, რომელთაც ოთხი შვილი გამოეზრდიათ, დაუბინავებიათ და მაინც გული ვერ უჯერებით ბავშვების სიყვარულით. როცა ნიკოლა გაიგებს, რომ შავერდიანები მეხუთედაც ხელცარიელი დაბრუნდნენ უპატრონო ბავშვთა სახლიდან, ახლა ვერ ამორჩიეს შვილობილი ახირებული მეშჩანური მიზეზების გამო, თვითონ გაემგზავრება სამაგვარო სახლში და პირველად შეხვედრილ ბიჭუნას წამოიყვანს სახლში აღსაზრდელად: „ბავშვი ხომ ცხოვრების მშვენებაა, სიცოცხლის ყვავილი, ნუთუ შეიძლება იგი თავისთავად ლამაზი არ იყოს!“ ამ პრინციპით ხელმძღვანელობს ნიკოლა. ასეთია ამ ნაწარმოების შინაარსი.

ამავე თემას ეხება ა. ვარდანიანის „ოჯახი“, მ. მარკოსიანის „უბავშვოდ სიცოცხლე ყამირია“...

კარგად იკითხება აგრეთვე მ. ასლანიანის, ს. ავჩიანის და წ. თორგომიანის მოთხრობები.

ალმანახში ქოთავსებული ლექსების უმრავლესობა ნათელი, ჯანსაღი განწყობილების გამომხატველია. პოეტური გულწრფელობისა და უშუალობის მხრივ ალმანახის ეს ნაწილი უდავოდ გარკვეულ სიმაღლეზე დგას. სომეხი პოეტები ერთნაირი გატაცებით და სიყვარულით უმღერიან საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა სომხეთს, სამგორის აყვავებულ ბაღებს და არარატის ველის ბარაქიან მიწას.

ამ თემაზე დაწერილი ლექსებიდან უნდა აღინიშნოს ო. კარაიანის „სამგორის განთიადი“, გ. გრიგის „საბჭოთა სომხეთს“, „მშობლიურნი“, გ. მარკოსიანის „სამშობლო“, „ქართველს“, „ჩემი ერევანი“, პაპარეს „მოგონება“, „სიმღერა სამშობლოზე“, ჰ. კარაპეტიანის „ოთხი სტრიქონი“ და სხვ.

სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლის დიდი ლენინისადმი მიძღვნილი ლექსებიდან ყურადღებას იპყრობს ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტის ო. კარაიანის ლექსი. პოეტი ლენინის აზრთა სიდიადეს გაზაფხულს ადარებს: როგორც გაზაფხული სიცოცხლით ავსებს ტუნგებას, ისე ლენინის იდეები ათბობენ მილიონთა გულს და გზას უნათებენ მთელ კაცობრიობას კომუნიზმისაკენ.

ალმანახში ცალკე განყოფილება აქვთ დათმობილი დამწყებ პოეტებს.

საქართველოში მცხოვრები სომეხი მწერლების მოცანაა ასახონ ქართული სინამდვილე, საქართველოს ბუნება, საკოლმეურნეო შრომის ფერხულში ჩაბმული ქართველი თანამოძმეების გვერდით სომეხი კოლმეურნე გლეხისა და ფაბრიკა-ქარხნების საამქროებში ქართველი მუშის მხარდამხარ მომუშავე სომეხი მუშის სახეები. ღრმად უნდა გაეცნონ და შემოქმედებითად აითვისონ ქართული ლიტერატურის სახელოვანი ტრადიციები და ქართული საბჭოთა მწერლების წამყვანი პრინციპები. ამ გაგებით სომეხ მწერლებს შეიძლება ფასდაუდებელი დახმარება გაუწიოს ქართულიდან სომხურად ნათარგმნმა ლიტერატურამ.

ალმანახში მოთავსებულია შემდეგი ქართველი მწერლების ნაწარმოებები: ხუტა ბერულავას — „ვლადიმერ ლენინს“, „ჩემს ბავშვობას ჰგავდა...“, ი. გრიშაშვილის — „ბალადა ხელმანდილზე“, „ხარუხუზე გავლისას“, „გეგონა სიმღერით ვიყავი მთგრალი“... (თარგმნა მ. ქარამიანმა); ს. ჩიქოვანის „ზანგას პირას“; ი. ნონეშვილის „მატნადარანში“ (თარგმნა ო. კარაიანმა); აკ. ბელიაშვილის „უკანასკნელი სურვილი“ (თარგმნა ივ. დავითიანმა) და ო. დგებუაძის „დედა“ (თარგმნა არტ. დავითიანმა).

ალმანახში მოთავსებულია აგრეთვე მოთხრობები, ლექსები და არაკები შრომაზე, სწავლის მნიშვნელობაზე, სამამულო ომის თემაზე. ცალკე განყოფილება აქვს დათმობილი ა. ჰაირაპეტიანის, მ. ჭრაჯიანის და ა. მხითარიანის კრიტიკულ წერილებს, რომლებშიც განხილულია ლიტერატურის საკითხები და ცალკეულ მწერალთა შემოქმედება.

ალმანახის ბოლო გვერდებზე მოთავსებულია ს. ვარდანიანის ვრცელი წერილი „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება სომხეთში“. საკითხი და წერილიც თავისთავად აქტუალური და საინტერესოა. ალმანახში აქა-იქ გვხვდება ორთოგრაფიული შეცდომები და რამდენიმე სტილისტური შეუსაბამობა.

მხატვრული გაფორმების მხრივ ალმანახი კარგად არის გამოცემული. იგი საქართველოში მცხოვრები სომეხი მწერლების გარკვეულ შემოქმედებით შესაძლებლობასა და წარმატებებზე მეტყველებს.

სომეხი მწერლების ლიტერატურული ალმანახის გამოცემა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კარგი ინიციატივაა.

არჩ. დავითიანი.

ბიბლიოთეკის მუშაკთა საარაიონთაშორისო მეთოდური კონფერენცია

საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მეთოდურმა განყოფილებამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით ქუთაისში მოაწყო ბიბლიოთეკების მუშაკთა საარაიონთაშორისო მეთოდური კონფერენცია.

კონფერენციას დაესწრნენ 17 რაიონის — ლენტეხის, ონის, ცაგერის, ამბროლაურის, ტყიბულის, ვანის, სამტრედიის, ქუთაისის, ჭიათურის, ზესტაფონის და სხვ. რაიონული სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკების მუშაკები, სულ 120 კაცი.

განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: მასობრივი ბიბლიოთეკების ამოცანები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებასთან დაკავშირებთან, მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, კატალოგების ორგანიზაცია მასობრივ ბიბლიოთეკებში და სხვ., აგრეთვე გაკეთებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის, ახალი ტექნიკური ლიტერატურის, ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიმოხილვა.

თავიანთი მუშაობის გამოცდილება დამსწრეთ გაუზიარეს ქუთაისის, ონის, ლენტეხის, თერჯოლის, ჭიათურის, ამბროლაურის და სხვა რაიონების ბიბლიოთეკების მუშაკებმა.

კონფერენციის მონაწილეებისათვის ქუთაისის № 1 საბავშვო ბიბლიოთეკამ მოაწყო საჩვენებელი ღონისძიება — თავის მკითხველთა შეხვედრა ქუთაისის ძველ ბოლშევიკებთან, რასაც 500-ზე მეტი კაცი დაესწრო. მოეწყო ექსკურსია ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში.

კონფერენციამ დასახა ღონისძიებანი მოსახლეობის წიგნით მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საუბარი სოფლის ინტელიგენციაზე

კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი

სამი თვის ასაკში დობლებულს შშობლების ტკბილი სიტყვა არ გაუგონია. პაპის და დიდედას მზრუნველობით იზრდებოდა, უფროსი დების დახმარებით საშუალო განათლება მიიღო და როცა სპეციალობის არჩევაზე მიდგა საქმე, ზოოტექნიკოსის პროფესია ამჯობინა.

თეოლინა რამიშვილის ცხოვრებაში „დირსსახსოვარ თარიღად დარჩა 1935 წელი, როცა უმაღლესი სკოლის დამთავრების დამადასტურებელი მოწმობა მიიღო და პროფესორ-მასწავლებლ ე ბ მ ა დაულოცეს შრომითი საქმიანობის ფართო ასპარეზი.

პირველი შრომითი წრთობა ახალგაზრდა სპეციალისტმ ა კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში მიიღო. 1944 წლიდან დღემდე დაუღალავად შრომობს თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ წყნეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში. საქმის ცოდნამ და სიყვარულმა, დაუშრეტელმა ენერგიამ მალე მოუპოვა წდობა და ავტორიტეტი წყნეთელ კოლმეურნეებში. ზოოტექნიკოსის საქმიან მითითებებსა და რჩევა-დარიგებას მეცხოველეობის ფერმის მუშაკები გულისხმიერად ისმენენ. ყოველთვის, როცა ესა თუ ის ფერმა სიძნელეების წინაშე აღმოჩნდება, კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსიც იქ არის, მეცხოველეების დალბინებას თუ გაჭირვებას მათთან ერთად განიცდის.

1944 წელს, როცა თეოლინა პირველად მოვიდა კოლმეურნეობაში სამუშაოდ, საკმაო პრაქტიკული გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ ამ ხარვეზის შევსება ძნელი არ იყო სპეციალისტისათვის, რომლის დამახასიათებელი თვისებაა თვითონაც ასწავლოს მეცხოველეებს და მათგანაც ისწავლოს. თავმდაბლობა, გულისხმიერება, „შავი საქმისათვის“ თავის აურიდებლობა — ეი თვისებები, რამაც კიდევ უფრო დააახლოვა ზოოტექნიკოსი საკოლმეურნეო აქტივთან, რიგითს ადამიანებთან. თეოლინას კარგად ახსოვს ბის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მეცხოველეობაში გასულ სამეურნეო წელს საშუალოდ ერთ საფურაეე ძროხაზე 885 კილოგრამი რძე მიიღეს, გეგმით გათვალისწინებული 850 კილოგრამის ნაცვლად. უფრო მეტი წარმატება მოიპოვეს ცალკეულმა მეცხოველეებმა.

თ. რამიშვილი.

• • •

ზოოტექნიკოსის დახმარებით მოწინავე მეცხვარეები მ. სულაძე, კ. მარგიანშვილი, ა. ელიზბარაშვილი ყოველთვის კარგად ართმევენ თავს დასახულ ამოცანებს.

რიგითი მეცხვარიდან მეცხვარეობის ფერმის გამგედ დაწინაურებული ვ. შახულოვი ზამთარ-ზაფხულ თავს დასტრიალებს ცხვარს.

65 წლის მოხუცი ა. შახულოვი ახალგაზრდული ენერგიით შრომობს საკოლმეურნეო დოვლათის გასადიდებლად. გასულ წელს თვითეულ დედალორზე გეგმით გათვალისწინებული 12 გოჯის ნაცვლად 18 გოჯი გაზარდა. კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი მოწინავე მელორის ხშირი სტუმარია, რჩევა-დარიგებასა და საქმიან დახმარებას უწევს მას.

წყნეთელმა მეცხოველეებმა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის განვითარების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ერთ-ერთ ასეთ ფერმაში 475 სული ცხვარი მყავდათ. ამჟამად კი სასოფლო-სამეურნეო არტელში ცხვრის სულადობა 1.900-ს აღემატება. შარშან თვითეულ ცხვარზე გეგმით გათვალისწინებული 2,7 კილოგრამის ნაცვლად 3,5 კილოგრამზე მეტი მატყლი მიიღეს, მიღებული ნამატის 98 პროცენტი შეინარჩუნეს.

ზოოტექნიკოსის დახმარებით მოწინავე მეცხვარეები მ. სულაძე, კ. მარგიანშვილი, ა. ელიზბარაშვილი ყოველთვის კარგად ართმევენ თავს დასახულ ამოცანებს.

რიგითი მეცხვარიდან მეცხვარეობის ფერმის გამგედ დაწინაურებული ვ. შახულოვი ზამთარ-ზაფხულ თავს დასტრიალებს ცხვარს.

65 წლის მოხუცი ა. შახულოვი ახალგაზრდული ენერგიით შრომობს საკოლმეურნეო დოვლათის გასადიდებლად. გასულ წელს თვითეულ დედალორზე გეგმით გათვალისწინებული 12 გოჯის ნაცვლად 18 გოჯი გაზარდა. კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი მოწინავე მელორის ხშირი სტუმარია, რჩევა-დარიგებასა და საქმიან დახმარებას უწევს მას.

ზოოტექნიკოსის თეოლინა რამიშვილი ერთ-ერთი იმ ახალგაზრდა სპეციალისტთაგანია, რომლებიც ნათელ გზაზე კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ გამოიყვანა.

გ. დათუაშვილი,
აგრონომი.

შემოქმედებითი შრომის ადამიანები

გაქრა ზოლები წინდებზე

საახალწლო ზეიმის დროს კარჭაულების ოჯახში ფოსტალიონმა რამდენჯერმე მოიტანა მოლოცვის დეპეშები.

მაგრამ პირველი იანვრის ფოსტიდან იყო ერთი ისეთი კონვერტი, რომელსაც ისე ხანმოკლე სიხარული კი არ მოუტანია და მარტო ერთი დღის სიცოცხლით კი არ უცხოვრია, როგორც საახალწლო მოლოცვებს. არა, მან ქიმიკოს-ტექნოლოგ ამირან კარჭაულს დიდი სიხარული მოუტანა და მის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში ახალი, შესანიშნავი სტრიქონები ჩაწერა.

იმ კონვერტში იყო მშრალი, ოფიციალური ენით დაწერილი ათიოდე პწკარიანი დოკუმენტი მოსკოვიდან, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტექნიკური სამმართველოდან.

კარჭაულს ატყობინებდნენ: „...თქვენი წინადადება სულფიროლი 8-ის წინასწარი დამუშავების შესახებ (მშრალი მერსერიზაციისათვის „ზებრისებრი“ დეფექტის აღმოფხვრის მიზნით) შემოწმებულ იქნა ტრიკოტაჟის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ ლაბორატორულ პირობებში. დადგენილია, რომ ბამბის ხამი შულოს დასველების ხარისხი მერსერიზებული სოდის სულფიროლიან ხსნარში, თქვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდით, 80 პროცენტით მაღალია, ვიდრე გაუწმენდავ პრეპარატში, რომელსაც ჩვეულებრივ საქარხნო პირობებში ხმარობენ.

თქვენი წინადადება სასარგებლოა და რეკომენდებულია ტექნიკური გამოცდილების გაზიარების კრებულში გამოსაქვეყნებლად“.

ა. კარჭაული ლაბორატორიაში.

ვერაფერი გავიგეთ, ვერ მივხვდით, ვინ რას მიაღწია, რა გააკეთაო, ალბათ იტყვის მკითხველი, რომელიც შორს დგას ქიმიისა და სამდებრო საქმისაგან. გავყვეთ ამირან კარჭაულს, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის სამღებრო-საყალიბო საამქროს უფროსს, ის დაგვატარებს საამქროს, ყოველივეს აგვიხსნის, განგვიმარტავს.

კარჭაული ჯერ მზა ნაწარმის საწყობში შეგვიძღვა.

— ოლია, გენაცვა, — მიმართა მან საწყობის გამგე ჯამბაზაშვილს — აბა ერთი ყველზე უფრო ზებრისებრი ზოლიანი წინდა გადმოგვიღე. — მერე ჩვენ მოგვიბრუნდა, — ზებრისებრ ზოლებიანი წინდები ძაფის ცუდი მერსერიზაციის შედეგად გამოდის.

— რა ვქნა, წინათ თვალი რომ დაგეხუჭა და ხელი დაგედო, ზებრისებრი წინდა შეგხვდებოდა, — ამბობდა ოლია, — ახლა კი ვეძებ, ვეძებ, და ერთი ვერ ვნახე ისეთი, კარგად, ნათლად რომ ეტყობოდეს ზოლები.

როგორც იქნა, მონახა საწყობის გამგემ ერთი და გამოგვიწოდა. წინდას ირგვლივ უთვალავი გორგოლაჭებივით ზოლები გასდევდა, ქვევიდან ზევით. მართლაც ზებრასავით იყო აჭრელებული.

ვის არ გაუგონია, ან არ ცმია ე. წ. „ფილდეკოსის“ წინდები? ეს იგივე ბამბის ძაფისაგან, მხოლოდ მერსერიზებული ძაფისაგან, მოქსოვილი წინდებია.

— აი, ხედავთ? მერსერიზაციის შემდეგ ბაზის შულო ასეთ სახეს იღებს. — ნართი ახლა უკვე ისე ბზინავდა, როგორც აბრეშუმი. — გარდა ამისა, მას სიმაგრეც მოემატა, 20 პროცენტით უფრო მტკიცეა, ვიდრე დამუშავებამდე ჰქონდა. ასეთი ძაფით მოქსოვილ წინდას ვეძახით „ფილდეკოსს“. მაგრამ მერსერიზაციის პროცესი რთული და შრომატევადი იყო. მას თითქმის ექვსი საათი სჭირდებოდა. ორიოდე წლის წინათ ეს პროცესი საგრძნობლად გამარტივდა. აიღეს და კაუსტიკურ სოდაში პირდაპირ შეურიეს სპეციალური ნივთიერება — სულფიროლი-8. ამ პრეპარატმა უკვე ზედმეტი გახადა გამოხარშვა, ახალ ხსნარში თავისუფლად სველდებოდა ნართი და პროცესი თითქმის სამი საათით შემცირდა. ეს იყო უდიდესი მიღწევა მერსერიზაციის ტექნოლოგიაში.

მაგრამ ერთი ნაკლი, რომელიც კლასიკურ მერსერიზაციას ახასიათებდა, — ზებრისებრობა, მაინც დარჩა. მთელი ნაწარმის 30 პროცენტს ისევ ეს ნაკლი ჰქონდა.

— ნუთუ? თითქმის მესამედი წუნი გამოდიოდა? — იკითხა ვიღაცამ.

— არა, წუნი არა, ჩვენ მას ხელმეორედ ვღებავდით შავად, რომ ზოლები არ დამჩნეოდა. მაგრამ ამისათვის ხომ საჭიროა საღებავი, შრომა, დრო. ყველაფერი ეს ფული ღირს.

დღეადღამე იმაზე ფიქრობდა ამირან კარჭაული, თუ რა უნდა იწვევდეს ამ „უკურნებელ“ სენს. გადაიკითხა ლიტერატურა, სადაც კი მერსერიზაციის შესახებ რამ ეწერა.

— ერთხელ, კაუსტიკური სოდისა და სულფიროლის ხსნარი მეჭირა მენზურით, — გვიამბობს კარჭაული. — ვაკვირდებოდი, ვაკვირდებოდი, და შევნიშნე, რომ ნელნელა მოთეთრო ზოლისებური შრე გაჩნდა. აქ რაღაც ამბავია-მეთქი, ვიფიქრე, დავდგი. მეორე დღეს ვნახე, რომ სოდა და სულფიროლი ერთმანეთს გამოყოფოდნენ. აშკარა გახდა, სულფიროლი და სოდა კარგად არ ირეოდა ერთმანეთში. შემმარტივ ხსნარის ნაცვლად ვიღებდით კოლოიდურს, როგორც ქიმიკოსები უწოდებენ. რაკი ამას მივაგენი, ახლა საჭიროა მივაღწიო იმასაც, რომ ისინი ნამდვილად აირიონენ ერთმანეთში, თორემ რა ფასი აქვს მიგნებას!

...დიდი ბალონები ჩამწკრივებულა. გრძელ სალაბორატორიო მაგიდაზე-ზოგი მუქია, ზოგი უფრო ღია, ზოგსაც ჩალისფერი დაკრავს. ყველაში სულფიროლი ასხია. წარმოების მიერ დამზადებული სულფიროლი მუქი ფერისაა. ასეთს ხმარობდნენ აქ წინათ, მაგრამ ახლა მას ქიმიურად წმენდენ, ასუფთავებენ და ჩალისფერზე აყენებენ.

— გარდაქმენი სულფიროლი, — გვეუბნება კარჭაული, — გავდევნე იქიდან ფისები, მოვახდინე მისი დამატებითი ნეიტრალიზაცია. წინასწარ ასე დამუშავებული სულფიროლი კაუსტიკურ სოდასთან შერევისას ახლა ჭეშმარიტ ხსნარს იძლევა. შემდეგ დავიწყე მისი გამოყენება და თითქმის გაქრა ზებრისებრი ზოლები.

— რატომ თითქმის?

— იმიტომ, რომ 30 პროცენტის ნაცვლად მხოლოდ 0,6 პროცენტიღა გამოდის ზოლებიანი წინდები.

ყოველწლიურად მარტო სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი 67 ათასი მანეთის ეკონომიას მიიღებს, ეს მარტო კომბინატი, მაგრამ მას ხომ საბჭოთა კავშირის ყველა სატრიკოტაჟო საწარმოში გამოიყენებენ, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა ხომ დაადასტურა საერთოდ მისი სარგებლიანობა.

მარტო ამ წინადადებით როდი ამოიწურება ქიმიკოს-ტექნოლოგ ამირან კარჭაულის შემოქმედებითი ძიება. მან ბევრი რამ ახალი შესძინა პრაქტიკულ, გამოყენებითს ქიმიას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ქიმიურ-ტექნოლოგიური განყოფილების დამთავრებისთანავე (ეს იყო 1934 წელს) მარგარინის ქარხნის დანადგართა მონტაჟში მონაწილეობდა, საამქროს უფროსის მოადგილედ იყო. ახალგაზრდა სპეციალისტმა მარგარინის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ძვირფასი წინადადება შეიტანა. აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, სადაც ოსტატად მუშაობდა, ნახმარი საპნის რეგენერაციის — აღდგენის საკითხი გადაწყვიტა. ფაბრიკა „საქტრიკოტაჟში“ შეიმუშავა ხელოვნური აბრეშუმის სიმტკიცის ასამაღლებელი საშუალება — პარაფინის ემულსია.

მეჩვიდმეტე წელია ა. კარჭაული აქ, კომბინატში ხან ოსტატად, ხან საამქროს უფროსად. აქ გამოავლინა მან მთელი თავისი უნარი და შესაძლებლობა როგორც გამომგონებელმა და სიახლის დაუცხრომელმა მაძიებელმა, ბევრი რამ შესძინა არა მარტო თავის საამქროს, არამედ საბჭოთა კავშირის სატრიკოტაჟო მრეწველობას. საკავშირო მასშტაბით დაინერგა, მაგალითად, წინადადებები ღებვის მაღალ ტემპერატურაზე დაწყების შესახებ, კაპრონის წინდებზე თეთრი ლაქებისა და ფერადოვნების მოსპობის შესახებ და სხვ.

კარჭაული ითვლება სარეცხი სითხის „კა-1“-ის ავტორად (თანაავტორია ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. აშმოვი). ეს არის საპონი, რომელშიც გრამი ცხიმი არ ურევია. იგი იხმარება როგორც ბამბის, ისე აბრეშუმისა და შალის ქსოვილების (ნატურალური და ხელოვნური) გასარეცხად. ამ სითხეს ამოყავს ყველა ლაქა, გარდა ფერადი ლაქისა, აცოცხლებს და ახალისებს ქსოვილის ფერს და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, 80 პროცენტით ამსუბუქებს მრეცხავის შრომას. „კა-1“-ის ფართო მასშტაბით გამოყენებას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც იგი დიდძალი ცხიმის დაზოგვის საშუალებას იძლევა. სითხემ პოპულარობა მოიპოვა თბილისელ დიასახლისებში. უკანასკნელ ხანებში კარჭაულმა კიდევ უფრო გაუმჯობესა სარეცხი სითხის შემადგენლობა. მაგრამ ჯერჯერობით, რატომღაც, ჭიანურდება მისი წარმოება, რომელიც დაკისრებული აქვს საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას.

ვინ იცის, მომავალში ამირან კარჭაული კიდევ რამდენ ისეთ კონვერტს მიიღებს, რომელშიც მშრალი, ოფიციალური ენით დაწერილი, კარჭაულისათვის სასიხარულო, სამშობლოსათვის კი საამაყო, ძვირფასი დოკუმენტი იდება.

ს. ხარაზიშვილი.

დაწინაურებული ავტომემკეთებლები

**თბილისის ავტომობილშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი ახალი წარმატებებით აღნიშნავს საოქტომბროდ ნაკისრი ვალდებულებათა განაღდებისათვის

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მომავალი გამგზავრებისათვის

1957 წლის 1 მარტს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ამხ. ლიუ სიაომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. პ. პ. ლობანოვს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. ტ. ლაცისს გადასცა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ლიუ შაო-ცის შემდეგი წერილი:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს პავლე პავლეს-ძე ლობანოვს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს ვილის ტენისის-ძე ლაცისს

პატივი მაქვს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტისა და პირადად ჩემი სახელით მოვიწვიო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს დელეგაცია ესტუმროს ჩინეთის მეგობრული ვიზიტით.

ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი დელეგაციის გამგზავრება ჩინეთში ხელს შეუწყობს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური მეგობრობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის პარლამენტარების მჭიდრო თანამშრომლობას.

ჩვენი მოწვევის მიღების შემთხვევაში გთხოვთ გვაცნობოთ ჩინეთში თქვენი დელეგაციის გამომგზავრების მოსახერხებელი თარიღი.

დიდი პატივისცემით

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი

1957 წ. 16 თებერვალი პეკინი.

1957 წლის 18 მარტს ამხანაგებმა პ. პ. ლობანოვმა და ვ. ტ. ლაცისმა სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის ამხ. ლიუ სიაოს მეშვეობით ამხ. ლიუ შაო-ცის გაუგზავნეს შემდეგი პასუხი:

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ლიუ შაო-ცის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო დიდი კმაყოფილებით იღებს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მიწვევას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაგზავნოს უმაღლესი საბჭოს დელეგაცია მეგობრული ვიზიტით. დელეგაციას შეუძლია ესტუმროს თქვენს დიდ ქვეყანას 1957 წლის სექტემბერში, თუ ეს დრო მოსახერხებელია სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებისათვის.

ჩვენ ვიზიარებთ თქვენს ღრმა რწმენას, რომ დელეგაციის გამომგზავრება ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების ძმური მეგობრობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატთა მჭიდრო თანამშრომლობას.

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგო ლიუ შაო-ცი, ჩვენი დიდი პატივისცემა და საუკეთესო სურვილები პირადად თქვენდამი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებისა და ათეული ჩინელი ხალხისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე პ. ლობანოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ლაცისი

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 18 მარტი.

პრეს-კონფერენცია საერთაშორისო გეოფიზიკური წლის საკითხებზე

18 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა უცხოთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტმა მოაწყო პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის მზადებას საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ჩატარებისათვის.

შესავალ სიტყვაში საერთაშორისო გეოფიზიკური წლის მომზადებისა და ჩატარების საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ი. პ. ბარდინმა განაცხადა, რომ ჩვენი პლანეტის კომპლექსურ მეცნიერულ კვლევაში მონაწილეობას მიიღებს 60 ქვეყანა. საერთო ღონისძიებებით შეიქმნება ორი ათასი სპეციალური სადგური, აქედან 500-ზე მეტს მოაწყობს საბჭოთა კავშირი. თუმცა საერთაშორისო გეოფიზიკური წელი იგეგმება უწინარეს ყოვლისა როგორც მეცნიერული ღონისძიება, იგი უფრეველია იქნება მეცნიერთა ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის მკაფიო მაგალითი. მისი თავისებურება ის არის, რომ დაკვირვებისა და კვლევის შედეგები მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხთა კუთვნილება გახდება.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა ფ. ფ. დავთიანამ ილაპარაკა საბჭოთა კავშირის წვლილზე ამ გრანდიოზული მეცნიერული ღონისძიების განხორციელებაში. მან განაცხადა, რომ, გარდა 500 სპეციალურად შექმნილი სადგურისა, დაკვირვება იწარმოებს ყველა ამჟამად მოქმედ მეტეოროლოგიურ, მაგნიტურ, იონოსფერულ, სეისმურ და სხვა სადგურებში, აგრეთვე ასტრონომიულ ობსერვატორიებში. საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამაში ყველაზე მეტი მოცულობა აქვს მეტეოროლოგიურ დაკვირვებას და კვლევას. ამ დაკვირვებას განაზორციელებს ობსერვატორია და ხუთი სადგური ანტარქტიდაში და ორი სადგური ჩრდილოეთ პოლუსის რაიონში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ატმოსფეროს ზედაფენების შესწავლას რადიოზონდირებისა და სხვა მეთოდების გზით.

ატმოსფეროს იმ ფენების გამოსაკვლევად, რომლებიც რადიოზონდებისათვის მიუწვდომელია, ზოგიერთი მეტეოროლოგიური და გეოფიზიკური პარამეტრის გაზომვა იწარმოებს რაკეტების დახმარებით, ხოლო უფრო მაღალი ფენებისა — დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებით, რომელთა გაშვება დაგეგმილია სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. შესანიშნავი სამუშაო დასახულია დედამიწის მაგნეტიზმის შესასწავლად, კერძოდ ზღვებსა და ოკეანეებში. პრიორიტეტი აქ ექნება საბჭოთა კავშირს, რადგან მხოლოდ მას აქვს სპეციალური არამაგნეტიური გემი „ზარია“.

მთელ დედამიწაზე დაკვირვებათა შედეგების შესაგროვებლად და დაინტერესებულ ქვეყნებს შორის მათი გავრცელებისათვის მიღებულია გადაწყვეტილება მოეწყოს ორი უნივერსალური მსოფლიო ცენტრი სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ფ. ფ. დავთიანამ დაახასიათა აგრეთვე სამუშაოები, რომელებსაც შეასრულებენ საბჭოთა ასტრონომები, სეისმოლოგები, ოკეანოლოგები და სხვა მეცნიერები.

შემდეგ გამოვიდნენ საერთაშორისო გეოფიზიკური წლის საბჭოთა კომიტეტის მუშა ჯგუფების ხელმძღვანელები. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. გ. მასევიჩმა განაცხადა, რომ ასტრონომიული კვლევისათვის გამოყენებულ იქნება საბჭოთა მეცნიერების მიერ აგებული ქრომოსფერულ-ფოტოსფერული ტელესკოპები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ერთსა და იმავე დროს ფიქსირებულ იქნას პროცესები, რომლებიც მზის ატმოსფეროს სხვადასხვა ფენაში წარმოებს. მან პრეს-კონფერენციას მოაგონა საბჭოთა ასტრონომების უპირატესობა, რომელთაც შეუძლიათ აწარმოონ დაკვირვება მზეზე 17 საათის განმავლობაში დღე-ღამეში და ისარგებლონ მთელი რიგი ობსერვატორიებით შორეულ აღმოსავლეთიდან ლვოვამდე.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ე. კ. ფედოროვმა ილაპარაკა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვებისათვის მზადებაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო გეოფიზიკური წლის განმავლობაში დასახულია გაშვებულ იქნას ასეთ თანამგზავრთა მთელი სერია, რომლებსაც სხვადასხვა წონა და დიამეტრი ექნება. თვითეული მათგანი აღჭურვილია განსაზღვრული ჯგუფის ხელსაწყოებით, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა სახეობის დაკვირვებისათვის.

ჟურნალისტთა წინაშე გამოვიდნენ სხვა საბჭოთა მეცნიერებიც.

პრეს-კონფერენციაზე აჩვენეს ძაღლები, რომლებმაც იფრინეს რაკეტებში ას კილომეტრზე მეტ სიმაღლეზე.

საბჭოთა მეცნიერებმა უპასუხეს უცხოელი და საბჭოთა კორესპონდენტების მრავალ კითხვაზე.

(საკდესი).

მზადება სსრ კავშირის მოსახლეობის აღწერისათვის

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით 1959 წლის იანვარში ეწყობა მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა. აღწერისათვის მზადების წესით სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო მოაწყობს შერჩევითს საცდელ აღწერას აღწერის პროგრამის პროექტის, ფორმებისა და დოკუმენტების შესამოწმებლად.

მოსახლეობის საცდელი აღწერა მოხდება 1957 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობის მიხედვით მოსკოვის ოლქის ჩეხოვის რაიონში, ლენინგრადის ნევის რაიონში, ნოვოსიბირსკის ოლქის ბოლოტნოეს რაიონში, დაღისტნის ასსრ კიტაგის რაიონში, უკრაინის სსრ ქალაქ სტალინოში, ყაზახეთის სსრ აკმოლინსკის ოლქის სტალინის რაიონში და ლატვიის სსრ ტუკუმის რაიონში.

ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში დამთვალიერებლად, ინსტრუქტორ-კონტროლიორებად, აღწერის განყოფილებათა გამგეებად და მათ თანაშემწეებად მიწვეული იქნება დაახლოებით ორი ათასი კაცი — ეკონომისტები, სტატისტიკოსები, ბუხჰალტრები, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები და სხვ. მოსკოვის ეკონომიკისა და სტატისტიკის ინსტიტუტი საცდელ აღწერაში მონაწილეობისათვის დამთვალიერებად გაგზავნის რაიონებში უფროსი კურსების 600-მდე სტუდენტს. ეს ამავე დროს იქნება მათი საწარმოო პრაქტიკა. 18 ივნისს ეკონომიკისა და სტატისტიკის ინსტიტუტში მოეწყო იმ სტუდენტთა პირველი ინსტრუქტაჟი, რომლებიც ადგილებზე წავლენ.

იმ რაიონებსა და ქალაქებში, სადაც საცდელი აღწერა უნდა მოეწყოს, ამჟამად შედგენილია დასახლებული ადგილებისა და სახლთმფლობელოების სიები, მზადდება კარტოგრაფიული მასალები, ადგენენ ორგანიზაციულ გეგმებს.

საცდელი აღწერა საშუალებას მისცემს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უკეთ გადაჭრას მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საკითხები.

მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიოში პირველი ძირდაუშვებელი გადაფრენის 20 წლისთავი

საუბარი საბჭოთა კავშირის გმირთან ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ გ. თ. ბაიდუკოვთან

★

20 წლის წინათ, 1937 წლის 20 ივნისს საბჭოთა თვითმფრინავი „ანტ-25“ დაეშვა ვანკუვერის აეროდრომზე ამერიკის შეერთებულ შტატებში. უკან დარჩა თორმეტი ათასი კილომეტრი გზა, აქედან 6 ათასამდე კილომეტრი ოკეანეებსა და ყინულებზე.

63 საათსა და 17 წუთს იმყოფებოდა ფრენაში ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მფრინავები ვ. პ. ჩკალოვი და გ. თ. ბაიდუკოვი, შტურმანი ა. ვ. ბელიაკოვი. ჩვენ გადავსვრეთ მთელი ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე, გადავფრინეთ პოლუსს, კანადის არქიპელაგის კუნძულებს, კლდოვან მთებს.

ამინდმა რთული ამოცანა მოგვცა. უკვე ბარენცის ზღვის თავზე თვითმფრინავი მოხვდა ძლიერ ციკლონში და შემოიყინა. მოგვიხდა მანქანის წაყვანა ხელსაწყოებით მეტისმეტი ფიზიკური დაძაბულობის მდგომარეობაში.

სიხარულით გაიმსჭვალა ჩვენი გული, როცა, გადავლახეთ ერა ოთხი ციკლონი, შემოყინულობა, შტორმი, ძლიერი ღრუბლიანობა და შემხვედრი ქარები, თვითმფრინავმა, ბოლოს, მიაღწია კანადას. გავიარეთ მარშრუტის ყველაზე ძნელი ნაწილი. საბჭოთა ტექნიკამ, საბჭოთა მფრინავებმა გამარჯვება მოიპოვეს სასტიკ ბუნებაზე, დაიმორჩილეს იგი და განუხრელად უახლოვდებოდნენ მიზანს.

„ანტ-25“ მიფრინავდა მნიშვნელოვან სიმაღლეზე — ხუთი ათას, ხუთი ათას ხუთას და ექვსი ათას მეტრ სიმაღლეზეც. კი. არავითარი სიძნელე არ იყო საშიში მფრინავებისათვის, რომლებსაც ზურგს უმაგრებდა მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი, მთელი საბჭოთა ქვეყანა, რომელიც გულდასმით გვადევნებდა თვალყურს. ფრენა მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა ავზებში საწვავის მარაგი გამოილია.

და აი ჩვენს ქვემოთ არის ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორია. თვითმფრინავი ძირს ეშვება. ამერიკელი ხალხი ძლიერ გულითადად შეგვხვდა, არ დაუკლია ჩვენთვის გულთბილობა და გულითადობა. ამერიკის მიწაზე ყოფნის პირველი მომენტიდანვე ვგრძნობდით ამერიკელთა ნამდვილ აღტაცებას ჩრდილოეთ პოლუსით გადმოფრენასთან დაკავშირებთან, მათის აღფრთოვანებას მეგობრული ვიზიტით ჩასული საბჭოთა მფრინავების ოსტატობით, პირადი თვისებებით.

ამერიკელები ჩკალოვზე ამბობდნენ, მოსკოვიდან იგი საბჭოთა კავშირის გმირად გამოფრინდა, ამერიკაში კი მსოფლიოს გმირად ჩამოფრინდაო.

გადაფრენა, საბჭოთა მფრინავების ყოფნა ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელს უწყობდა საბჭოთა ხალხისა და ამერიკელი ხალხის დაახლოებას, მათი მეგობრობის განმტკიცებას. ეს კარგად გამოთქვა ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვმა ერთ-ერთ დარბაზობაზე, რომელიც ეკიპაჟის პატივსაცემად გაიმართა.

— მოვფრინავდით რა მოსკოვიდან ჩრდილოეთი პოლუსით თქვენს ქვეყანაში, — თქვა ვ. პ. ჩკალოვმა, თვითმფრინავის ფრთეთი მოგვქონდა ჩვენი ასსამოცდაათი მილიონიანი ხალხის სალამი ამერიკელი ხალხისადმი. თვითმფრინავში რომ ვსხდებოდით, ჩვენ, სამ კაცს, გულში მოგვქონდა ასსამოცდაათი მილიონი გული და არავითარ ციკლონს და შემოყინვას არ შეეძლო ჩვენი გაჩერება. ჩვენ ვასრულებდით ჩვენი ხალხის ნებას! ჩვენ გამოვეჭერით ფანჯარა ევროპიდან ამერიკაში და დარწმუნებული ვართ, რომ ეს ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად განვითარებას.

ყველგან, სადაც უნდა გამოჩენილიყო „ანტ-25“-ის ეკიპაჟი, მას აღტაცებით, პატივით ხვდებოდნენ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა ვ. პ. ჩკალოვის სახელზე გამოგზავნა მისასალმებელი დეპეშა გადაფრენის დამთავრებასთან დაკავშირებით. ვაშინგტონში ყოფნისას პრეზიდენტმა თავაზიანად მიგვიღო. საუბარი გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა.

გადავდიოდა რა ფიქრით ორი ათეული წლის იქით, ვიგონებ რა ჩვენს შეხვედრებს ამერიკის მიწაზე 1937 წელს, წყენით ვფიქრობ, რომ ახლა ზოგი ვინმე ამერიკის შეერთებულ შტატებში ცოტა ღონისძიებას როდი იღებს, რომ ხელი შეუშალოს ამერიკელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობას, მათს დაახლოებას, კულტურულ ურთიერთობას, ვაჭრობას.

მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩრდილოეთ პოლუსით გადაფრენამ დაამტკიცა საბჭოთა ტექნიკური აზრის სწრაფი ზრდა, სამამულო მრეწველობის შესანიშნავი მიღწევები. ანდრიეა ნიკოლოზის-ძე ტუპოლევის კონსტრუქციის მანქანამ ბრწყინვალედ გამოიჩინა თავი უძნელეს ფრენაში. მაგონდება, რა გულდასმით მზადდებოდა გადაფრენა. მზადებაში მონაწილეობდა ბევრი საწარმო და სამეცნიერო დაწესებულება, სულ სხვადასხვა სპეციალობის ათობით მეცნიერი და ინჟინერი. შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ გადაფრენა მათ მოიფიქრეს უმცირეს დეტალებამდე, რამაც შესაძლებლობა მოგვცა დაშვიდებით გვემუშავნა და შეგვესრულებინა საბჭოთა ხალხის დავალება.

ეკიპაჟის ფიქრი და გრძნობები იმ დღეებში კარგად გამოთქვა ჩვენმა მეგობარმა და მეთაურმა ვ. პ. ჩკალოვმა. მან თქვა:

„ჩვენ პირადი სახელისთვის როდი მფრინავდით ჩრდილოეთისაკენ პოლუსით, ცენტრალური არქტიკის ყინულებით, ტუნდრით და კანადის მთაგრეხილებით. ჩვენ გვსურდა მთელი მსოფლიოსათვის გვეჩვენებინა საბჭოთა ავიაციის შესაძლებლობანი და ძალა, საბჭოთა ქვეყნის ძლიერება და ტექნიკა. ჩვენ გვსურდა გაგვემრავლებინა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დიდება“.

განვლო 20 წელმა. ჩვენმა სამამულო ავიაციამ გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ. იარაღის ჩხარუნის მოყვარულებისათვის ურიგო არ იქნება ახსოვდეთ, რომ ჩვენ, საბჭოთა მფრინავებს, არ დაგვიწყებია ფრენა დიდ მანძილზე, არამედ სხვა რამესაც მივაღწიეთ სხვა დარგებში.

სასიხარულოა იმის შეგნება, თქვა დასასრულ საბჭოთა კავშირის გმირმა ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა გ. თ. ბაიდუკოვმა, რომ საბჭოთა ავიაციის განვითარების საქმეში თავისი მცირე წვლილი შეიტანა „ანტ-25“ ეკიპაჟმა, რომელმაც მსოფლიოში პირველმა განახორციელა ძირდაუშვებელი გადაფრენა მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში. (საკდესი).

სურათზე: საბჭოთა კავშირის გმირები ვ. პ. ჩკალოვი, გ. თ. ბაიდუკოვი და ა. ვ. ბელიაკოვი ოკლენდის აეროდრომზე (ამერიკის შეერთებული შტატები) 1937 წელს მოსკოვ-ჩრდილოეთ პოლუს-ამერიკის მარშრუტით ძირდაუშვებელი გადაფრენის დამთავრების შემდეგ.

კონგრეგეოლუციონერთა ჯგუფის პროცესი უნგრეთში

ბუდაპეშტი, 18 ივნისი. (საკდესი). ბუდაპეშტის საქალაქო სასამართლო შეუდგა ლასლო რუსნიაკისა და მისი 16 თანამზრახველის საქმის გარჩევას. ბევრი ბრალდებული ყოფილი პატიმარია, რომლებიც გასული წლის ოქტომბერში გაათავისუფლეს სიპატიმრობიდან უნგრელი ხალხის მტრებმა.

რუსნიაკის ბანდა აქტიურ მონაწილეობას იღებდა ტერორისტულ მოქმედებაში, შეიარაღებულ ამბოხებასა და ძარცვაში.

ემგარგოს სისტემას კიდევ ერთი ლახვარი ჩასცეს

რომი, 18 ივნისი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, იტალიის მთავრობამ ოფიციალურად გადაწყვიტა შეანელოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ვაჭრობის შეზღუდვა.

„ეიზენჰაუერის დოქტრინის“ მიზანია არაბთა ქვეყნების გათიშვა

კაირო, 18 ივნისი. (საკდესი). ეგვიპტის გაზეთები მკვეთრად აკრიტიკებენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ახლო და შუა აღმოსავლეთში. „ოკიბშენ გაზეტი“ წერს, რომ ამერიკის პოლიტიკას საფუძვლად უდევს მისწრაფება ამ რაიონის ქვეყნებს თავს მოახვიოს „ეიზენჰაუერის დოქტრინა“, რათა „სავსებით დაუმორჩილოს ისინი ამერიკის პოლიტიკისა და სტრატეგიის დიქტატს“. გაზეთი აღნიშნავს, რომ „ეიზენჰაუერის დოქტრინის“ გამოცხადებით ვითარება ახლო და შუა აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად გაუმწვავდა. შეერთებული შტატების ერთ-ერთი მთავარი მიზანია, აღნიშნავს გაზეთი, ეგვიპტის იზოლაცია არაბთა სხვა სახელმწიფოებისაგან, რადგან პოზიციური ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, რასაც ეგვიპტე ახორციელებს, ეწინააღმდეგება ამერიკის იმ გეგმებს, რომ ეს რაიონი თავის გავლენას დაუმორჩილოს.

გაზეთი „აშ-შაიბი“ წერს, რომ შეერთებული შტატები ისწრაფვიან „დაიკავონ ინგლისის იმპერიალიზმის ადგილი ახლო და შუა აღმოსავლეთში“. ამხილებს რა ამერიკის ჩარევას იორდანიის საქმეებში, გაზეთი წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ისწრაფვიან ჩამოაშორონ იორდანია ეგვიპტესა და არაბთა სხვა მეგობრულ ქვეყნებს, რათა თვითონ „შეავსონ ეგრეთწოდებული ვაკუუმი, რომელიც იორდანიაში შეიქმნა იმის შემდეგ, რაც ბოლო მოეღო ინგლისის ოკუპაციას და ამ ქვეყნიდან განდევნილ იქნა გენერალი გლაბი“. იორდანიაში, წერს გაზეთი, გაიგზავნა ამერიკის სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი სუინი, რათა დაეკავებინა გლაბის ადგილი და კონტროლი გაეწია იორდანიის პოლიტიკისათვის. პოლკოვნიკმა სუინიმ „შეიმუშავა და ფაქტიურად განახორციელა შეთქმულება იორდანიის ყოფილი მთავრობის წინააღმდეგ“.

სოხუმის ნავსადგურში.
ფოტოტიუდი ვ. სტოლიაროვისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

იტალიის მედიცინის მოღვაწეთა დელეგაცია საქართველოში

მესამე დღეა საქართველოში სტუმრად იმყოფება იტალიელ გინეკოლოგ ექიმთა დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში ჩამოვიდა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების სამედიცინო სექციის მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს პროფესორი პიეტრო მალკოვატი.

იტალიის მედიცინის მოღვაწეები ეცნობიან საქართველოს ღირსშესანიშნაობებს, მას ეკონომიკას, კულტურას. მათ აინტერესებთ საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის განვითარების საკითხები.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში მოეწყო იტალიელ ექიმთა შეხვედრა თბილისის სამედიცინო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ვ. კ. მაღრაძემ უამბო სტუმრებს, თუ როგორ არის დაყენებული ჯანმრთელობის დაცვის საქმე რესპუბლიკაში.

შემდეგ ილაპარაკა დელეგაციის მეთაურმა პროფესორმა პიეტრო მალკოვატიმ, რომელმაც მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისათვის. მან აღნიშნა, რომ დელეგაციის წევრებმა საქართველოში ნახეს ჯანსაღი, ხალისიანი ახალგაზრდობა, რომელმაც იცის როგორ გამოიყენოს თავისი ბედნიერება. ახალგაზრდობისათვის აქ დიდად ზრუნავენ. ქალაქ ბოლონიის უნივერსიტეტის გინეკოლოგიური კლინიკის პროფესორმა პორადო ბელვედერიმ განაცხადა:

— საბჭოთა კავშირში ჩვენთვის ბევრი ძალიან საინტერესო და ახალი რამ გავიგეთ მედიცინის მეცნიერების დარგში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ განვაგრძობთ მუშაობას იტალიისა და საბჭოთა კავშირის მედიცინის მუშაკთა შორის ურთიერთობის განსამტკიცებლად. (საქდესი).

ლექცია

დღეს საღამოს 8 საათზე საქართველოს კპ თბილისის კომიტეტთან არსებულ ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სასლში (ლენინის ქ. № 35) პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივისათვის შედგება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ლექტორის **გ. ერემოვის** ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალი ფორმების შესახებ“.**

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლა აცხადებს მიღებას 1957-58 სასწავლო წლისათვის შემდეგ განყოფილებებზე: 1. ვოკალური; 2. საორკესტრო — ა) სასულე დარგი: ფლეიტა, ჰობოი, ფაგოტი, ვალტორნა. ბ) სიმებიანი დარგი: კონტრაბასი, არფა; 3. სადირიჟორო-საგუნდო განყოფილება.

ვოკალურ განყოფილებაზე მიიღებიან 18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდები.

საორკესტრო განყოფილებაზე — 12-დან 17 წლამდე ასაკისა.

სადირიჟორო-საგუნდო განყოფილებაზე მიიღებიან ახალგაზრდები 14 წლის ასაკიდან, რომლებსაც აქვთ მუსიკალური განათლება არანაკლებ 4 კლასისა. ვოკალურ განყოფილებაზე და სადირიჟორო-საგუნდო განყოფილებაზე დაიშვებიან ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ ზოგადი განათლება არანაკლებ 7 კლასისა.

განცხადებები მიიღება 28 ივნისამდე დილის 10 საათიდან დღის 3 საათამდე ცენტრალური მუსიკალური სკოლის კანცელარიაში (თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 42, ტელეფონი № 3-01-14).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 ივლისიდან

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა, ჯანმრთელობის ცნობა, მიტრიკა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, ცნობა მშობელთა საქმიანობის შესახებ, ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი და დახასიათება სკოლიდან.

რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სამჯერადი კვებით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ცენტრალური მუსიკალური სკოლის კანცელარიაში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ფარმაცევტული სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1957-58 სასწავლო წლისათვის პირველ კურსზე: სასწავლებელი ამზადებს საშუალო სამედიცინო განათლების მქონე პროვიზორის თანაშემწეებს.

სასწავლებელში მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე.

სწავლის ხანგრძლივობა — 3 წელი.

სასწავლებელში უგამოცდოდ მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ხუთოსნები, რომლებიც დაჯილდოებული არიან ქების სიგელით. დანარჩენები აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა კარნახით და ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე.

სასწავლებელში შემსვლელს დირექტორის სახელზე პირადად შეაქვს განცხადება შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი ან პირი), 3. ავტობიოგრაფია, 4. სამი ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომით 3×4), 5. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 286), 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 7. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, 8. ის პირები, რომლებიც მუშაობენ კოლმეურნეობებში და საწარმო-დაწესებულებებში, წარმოადგენენ ცნობას დაკავებული თანამდებობისა და სტაჟის შესახებ, საქმიანი დახასიათებით ხელმძღვანელი პირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების ხელმოწერით.

საბუთები მიიღება მიმდინარე წლის 25 ივნისიდან საღამოს 5-დან 8 საათამდე.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მეცადინეობა — საღამოს 4 საათიდან.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ქუთაისის ქ. № 20. ტელ. 3-50-64.

დღეს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ესპანელი მოცეკვავე, **მარჯანიშვილის სახელობის** — ხევები ზეზეულად კვდებიან, **გრიბოედოვის სახელობის** — მარტოხელა, **სომხური დრამის** — (ციროვობადის ჯაბარლის სახელობის თეატრის გასტროლები) — ვაგიფი, **ფილარმონია** — მოლდავეთის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (საზაფხულო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი (საზამთრო) **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ფილარმონიის ბალი** — მაშინ პარიზში, **ამირანი** (საზამთრო) — ილია მურომეცი, **ამირანი** (საზაფხულო), **ისანი** (საზამთრო), **თბილისი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — მოგზაურობა ახალგაზრდობაში, **ისანი** (საზაფხულო), **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, კომუნარების ბალი** — პროცესი სამ მილიონზე, **კომკავშირელი** — ბატონი 420 (I და II სერია), **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ცხოვრების საგზური, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — გიორგი საკაძე (I სერია), **კოლხიდა** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი** — ნაცნობობა, **კოლხიდა** (საზაფხულო) — მე ვიტყვი სიმართლეს, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — მუსიკა მარსიდან, **კოლმეურნე** — საიდუმლო თანამგზავრები, **დიდუბე** (საზამთრო) — ტორეოკელი თერძი, **დიდუბე** (საზაფხულო) — გაცრუებული იმედები, **ყაზბეგი** — მამა, დედა, მოსამსახურე და მე, **კიროვის სახელობის პარკი** — ბორანი, **ორჯონიკიძის სახელობის პარკი** —ანტუანი და ანტუანეტა, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — პოლესიური ლეგენდა, **ვაკის პარკი** — ჭრიჭინა.

ДЕЗИНФЕКЦИИ ДАЦВА

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი (ძერჟინსკის ქ. № 8).

1957 წლის 2 ივლისს დღის 12 საათზე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **